# ტალღა

თფილისი

ოთხშაბათი, 15 (27) ნოემბერი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 24 ყოველ-დღიური გაზეთი. № 24


სევასტოპოლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დასაჯეს ორას ოცდა თოთხმეტი მატროსი.—ფეოდოსიაში გენერალ დავიდოვს ყუმბარა ესროლეს.—მინისტრი სტოლიპინი ფარულ ცირკულიარით აღიარებს, რომ საველე სასამართლოები ხშირათ უდანაშაულო პირებს სჯიან:


30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა-უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 1 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ. მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.

„ტალღის“ რედაქცია სთხოვს საზოგადოებათ და დაწესებულებებს აგზავნონ ხოლმე რედაქციაში უწყებები თავიანთ სხდომებზე და კრებებზე დასასწრებლათ.



**კვირას, 12 ნოემბერს, 12 საათზე**

**ტფილისში გაიხსნა**

(ავათმყოფთა მიღება 13 ნოემბრიდან დაიწყება)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ტელეფონი № 481.

ავათმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ტ. ი. რუდენკო**—შინაგანი სნეულებანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. მ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულებ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იაჩნევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. ვ. მ. ფნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშაბ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ახპიხოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. ბოჟოვსკი**—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5½ ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ვ. ი. ინაევი**—შინაგანი, ყოველ დღე 1—2 პარასკეობით 3—4 ს.

**ექ. ა. ა. მონხე.**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ტ. როზმაისკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეშიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. ქ. მ. პივარსკი**

**ექ. ქ. ი. ჩუდნოვსკი** კლინიკური ანალიზი.

**ექ. ვ. ი. ონოგკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.



კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12. ნიკოლოზის ქ. № 14.



**РУССКОЕ СЛОВО,** იაკობ გოგებაშვილისა, ორივე ნაწილი ახლად დაიბეჭდა ზოგიერთა ცვლილებით და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოებაში. თუმცა წიგნების ბეჭდვა ერთიორად გაძვირდა, მაგრამ ფასი წინანდებურია: პირველი ნაწილი უდიანად ღირს ორ აბაზად, მეორე ნაწილი—ათ შაურად. ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, 20% დაეთმობა... (1—3)


### ვინ ვის ებრძვის?

როგორც მკითხველებმა იციან, 10 ნოემბერს დასრულდა ვადა ამომრჩეველთა ზოგიერთ კატეგორიების საარჩევნო სიებში შეტანისა. ვინც ამ დროისთვის ვერ მოასწრო შესაფერი განცხადების წარდგენა ქალაქის გამგეობის სტატისტიკურ ბიუროში—ისინი კარგავენ თავის პოლიტიკურ უფლებებს და არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ. უნდა აღვნიშნოთ სამწუხარო ფაქტი: საზოგადოების ფართო მასსამ საარჩევნო სიებში ჩაწერის დროს თითქმის სრული გულგრილობა გამოიჩინა; თვით მუშებმაც კი, რომლებიც საზოგადოთ როგორც პოლიტიკურათ უფრო მომწიფებული ელემენტი მეტ პოლიტიკურ გამჭრიახობას იჩენენ ხოლმე, თვით მუშებმაც ვერ გამოიჩინეს შესაფერი აღფრთოვანება ამ საარჩევნო კამპანიის დასაწყისში. თფილისის პოლიტიკურ ცხოვრებას რომ დაკვირვებოდით ამ უკანასკნელ დღეებში, არა მგონია შეგემჩნიათ, რომ ამ დღეებში საარჩევნო ბრძოლა წარმოებდა... ამ მხრივ სამწუხაროთ ჩვენ ჩამოვრჩით რუსეთის ბევრ ქალაქს, სადაც პროლეტარიატი თუ გაზეთებს დაუჯერეთ, დიდ პოლიტიკურ ინტერესს და ენერგიას იჩენს მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში.

მაგრამ თუ ხალხის ფართო მასსამ ასეთი გულგრილობა გამოიჩინა, ასევე არ შეგვიძლია ვთქვათ პარტიებზე. თავის თავათ ცხადია რომ მასსის გულგრილობამ გავლენა იქონია პარტიების მოქმედებაზედაც. არ იყო არც შესაფერი აღფრთოვანება, არც ჩვეულებრივი ენერგია, მუშაობას უფრო ნაძალადევი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მაინც პარტიების მოქმედება ფაქტია და ჩვენ გვსურს ამის შესახებ ზოგიერთი ჩვენი აზრი გაუზიაროთ მკითხველს.

რას აკეთებდენ პარტიები? ამ პირველ საფეხურზე პარტიების მიზანია რაც შეიძლება მეტი თანამგრძნობელი შეიტანოს საარჩევნო სიებში, რომ არჩევნების დროს მას მეტი ხმა ამოუვიდეს. ამისათვის ყველა პარტია თავის თავზე იღებს თითქმის მთელ ჯაფას, რაც კი საჭიროა, რომ ამომრჩევლის უფლება უზრუნველ ყოფილ იქნეს; პარტია უხსნის ამომრჩეველს საარჩევნო კანონს, ასწავლის, როგორ უნდა ჰქონდეს მან უფლების დამამტკიცებელი საბუთები, ვის ან როდის უნდა წარუდგინოს იგინი და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ პარტია მიმართავს იმ ამომრჩევლებს, რომელნიც შედიან ამ პარტიაში, ან რომელზედაც პარტიას გავლენა აქვს და იმედოვნებს, რომ ამომრჩეველი მას ჩაუგდებს კენჭს. თავისთავათ ცხადია, ეს იმიტომ, რომ პარტიას აქვს თავისი პროგრამა და ტაქტიკა, რომელიც გამომხატველია რომელიმე კლასის ან საზოგადოების ნაწილის პოლიტიკური ინტერესებისა. სხვა კლასები ან საზოგადოების ნაწილები, რომელთაც სხვა პოლიტიკური ინტერესები აქვთ, სხვა პარტიაში შედიან, სხვა პროგრამა და ტაქტიკა აქვთ.

ასე ყოფილა ყველგან, ასე იყო, რასაკვირველია, თფილისშიაც. მარტო „დაშნაკციუტიუნის“ პარტია შეადგენდა გამონაკლის იმ დროს, როცა ყველა პარტიას თავისი ამომრჩევლების სია შეჰქონდა ქალაქის გამგეობაში, „დაშნაკციუტიუნის“ პარტიამ ყველა (ვისაც კი მოასწრო) ქალაქში მცხოვრებ სომხების სია შეიტანა. რატომ მოხდა ეს? არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დაშნაკლების პარტიას სჯეროდეს, რომ მთელი ქალაქის სომხობა მათ პარტიაში შედიოდეს. ამისთანა შეურაცხყოფას ჩვენ ვერ მივაყენებთ დაშნაკლებს. ყველამ იცის, რომ სომხები რამდენიმე პარტიათ იყოფებიან. მაშ რა არის ამის მიზეზი?

ვინც დაშნაკლების პარტიას იცნობს, იმას არ გაუჭირდება ამ მოვლენის ახსნა. ყველა ბურჟუაზიული პარტია თავის თავს მთელი ხალხის დამცველათ აღიარებს—ეს ისტორიული კანონია. ამასვე შვრებოდა და შვრება ეხლაც „დაშნაკციუტიუნი“. სომხების ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი პარტია „დაშნაკციუტიუნი“ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა და ხმარობს დღესაც, რომ სომხის ბურჟუაზიის ინტერესები ხალხის ინტერესებათ გაასაღოს და მთელი სომხის ერი ჩაითრიოს ამ ინტერესების დაცვაში. ზოგიერთი პირობები, როგორც მაგ. ბარბაროსული ფორმა ნაციონალური ბრძოლისა ოსმალეთში და აღმოსავლეთ კავკასიაში, რომელმაც ძალიან შეაფერხა სომხის ნაციის კლასებათ დაყოფის პროცესი, ხელს უწყობდა, „დაშნაკციუტიუნის“ პარტიას მთელი ერი ერთ განუყოფელ ერათ აღიარებინა. ამ ერთობაში ჰპოვებდა იგი თავის პოლიტიკურ და მორალურ ძალას, მაზე იყო დამყარებული მისი არსებობა.

მაგრამ ცხოვრების აუცილებელმა წინსვლამ მაინც თავისი არ დაიშალა. ეკონომიურმა ცხოვრებამ კლასებათ დაყო სომხის ერი, დააშორა მით იგინი ერთი მეორეს და ყველა კლასს საკუთარი პარტია შეაქმნევინა. „დაშნაკციუტიუნისთვის“ ეს სიკვდილი იყო და მართლაც ამ ბოლო დროს პარტიას დარღვევა და დაქუცმაცება ემჩნევა. მაგრამ პარტიის დანაწილება იმის მომასწავებელია, რომ სომხის ბურჟუაზიის ძალა შედარებით მცირდება, მას მძლავრათ უდგება წინ ახალი პოლიტიკური ძალა—სომხის პროლეტარიატი და აი ამიტომ უფრთხის „დაშნაკციუტიუნი“ დანაწილებას. მას ისევ ერთობა სწადიან, როგორც პარტიაში ისე მთელ ერშიაც. ცხოვრება ანაწილებს სომხების ერს კლასებათ—„დაშნაკციუტიუნი“ ცდილობს შეაერთოს სომხები ერთ კლასათ, მოსპოს ყოველივე განსხვავება ერის სხვადასხვა ჯგუფებისა. მართლაცა და „დაშნაკციუტიუნს“ სხვა არაფერი დარჩენია: ან იგი უნდა დანაწილდეს, ან უნდა ებრძოლოს სომხების ერის დანაწილებას, ე. ი. ებრძოლოს ცხოვრებას. როგორც სჩანს დაშნაკციუტიუნს ჯერჯერობით მეორე გზა ამოურჩევია. დღევანდელი საარჩევნო კამპანია მისთვის ერთი საშუალებათაგანია ცხოვრებასთან საბრძოლველათ. იმ დროს, როცა ყველა კლასი, ყველა პარტია გამოდის საარჩევნო ასპარეზზე თავისი ინტერესებისათვის საბრძოლველათ, იმ დროს, როცა ყველა პროგრესიული კლასები ებრძვიან თვითმპყრობელობის ნაშთებს და როცა ამასთანავე ამ პროგრესიულ კლასებ შორისაც ბრძოლა არის გაჩაღებული, ამ დროს „დაშნაკციუტიუნის“ პარტია გამოდის და იძახის: სომხის ერში არ არის კლასები, არ არის ინტერესთა სხვადასხვაობა, იგი (სომხის ერი) ერევა საარჩევნო ბრძოლაში, როგორც ერთი პოლიტიკური ძალა.

პარტიის სურვილი ყველასათვის ცხადია: დღევანდელ პოლიტიკურ ასპარეზზე კლასთა ბრძოლა მიაფუჩეჩოს და ერთა ბრძოლა გააჩაღოს. თუ მართლა იმან თავის სურვილს მიაღწია, მაშინ, რასაკვირველია, ის ძველებურათ იბატონებს სომხის ხალხში. აი მიზეზი მისი საარჩევნო პოლიტიკისა.

თფილისის მუშა ხალხი, განურჩევლათ ერისა, ემზადება საარჩევნო ბრძოლისათვის თფილისის ბურჟუაზიასთან, როგორც სომხურის ისე ქართველი, რუსი და სხვა ერებისა. „დაშნაკციუტიუნს“ კი სწადია ეს ბრძოლა სომხებსა და ქართველებს შორის ბრძოლათ გადააქციოს.—სომხებო, თქვენ უნდა შეერთდეთ ერთათ და ეცადოთ ქართველები დავამარცხოთ, რომ მათ არ გაიყვანონ თავიანთი კანდიდატი დუმაში—ასე გაიძახიან დაშნაკლები.

უკაცრავათ ბატონებო! თქვენ ცოტა დაიგვიანეთ, ეხლა პატარა ბავშვმაც კი იცის, რომ დღეს თფილისში ბრძოლა სომხებს და ქართველებს შუა კი არ არის, არამედ მშრომელ ხალხსა და ბურჟუაზიის შორის. სცდებით თუ გგონიათ, რომ სომხის მუშები მოატყუოთ თქვენი კლასთა ინტერესების ჰარმონიის ქადაგებით! მაგრამ, ამხანაგო მუშებო, რუსებო, სომხებო, ქართველებო და თათრებო, თქვენ მაინც საფრთხილე გმართებთ. თქვენ უნდა ეცადოთ, რომ „დაშნაკციუტიუნმა“ არ მოატყუოს სომხის წვრილი ბურჟუაზიაც, თქვენ უნდა აუხსნათ მას, რომ დღეს იწყება დიდმნიშვნელოვანი საარჩევნო ბრძოლა არა სომხებს და ქართველებს შორის, არამედ თფილისის პროლეტარიატის და მუქთა ხორების შორის (განურჩევლათ ერისა), რომ ამ ბრძოლაში ყველა ღარიბი და დაჩაგრული თავს იყრის სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ.

---

## პოლიტიკური მიმოხილვა

### ვინ მართავს რუსეთს?

მთავრობის ოფიციოზური გაზეთი „როსსია“ ირწმუნება, რომ რუსეთის მართვა-გამგეობის სადავე მინისტრ-სტოლიპინის ხელშია, რომ ის ატარებს და აწარმოებს თავის პოლიტიკას!? მართალია,—ამბობს გაზეთი, ზოგიერთი საზოგადოებრივი წრეები ცდილობენ გავლენა იქონიონ მთავრობის პოლიტიკურ მიმართულებაზე, მარა ეს ოდნავაც ვერ შეარყევს მთავრობის პლანებს; სამინისტრო მტკიცეთ იცავს იმას, რაც მას განზრახული აქვს, და მას კი სურს რუსეთში მშვიდობიანობის ჩამოგდება, მას სურს ებრაელების, დაჩაგრული ერის, უფლებრივათ გათანასწორება სხვა ერებთან და ამის შესაფერ ღონისძიებების მიღებას ეცდება ის დუმამდისაცო. ამით მთავრობა მომავალ არჩევნებში ბევრ მომხრეებს მოიპოვებსო.

მომხრეების მოპოვების სურვილი სტოლიპინს, მართალია, დიდი აქვს და ამ მიზნით ვის არ დაპირდება ის აშენებას და გაბედნიერებას, მარა საქმე იმაშია, რომ არც ერთ ამ დაპირების სისრულეში მოყვანა მას არც სურს და არც შეუძლია. მთელი მისი პოლიტიკა დაფუძნებულია „ჭეშმარიტ რუსების კავშირთა“ სურვილზე; რასაც ეს კაცის მჭამელნი მოიწადინებენ, ის მთავრობისთვის კანონათ ხდება. სტოლიპინი მხოლოდ მათი ყურმოჭრილი მონაა. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ფაქტს; როგორც ვიცით, ინგლისის დეპუტაციის მოსვლას მოსკოვში „რუსეთის ჭეშმარიტმა პოგრომშჩიკებმა“ ავი თვალით შეხედეს და მთელი თავისი ბნელი ძალები აამუშავეს, რომ მთავრობას ამის წინააღმდეგ რაიმე ღონე ეღონა. უსმინა მას მთავრობამ თუ არა, როგორც თვითონ ირწმუნებოდა? დიახ უსმინა და აი ამის საბუთი: მოსკოვსა და პეტერბურგ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა ამ დეპუტაციის გამო: მოსკოვიდან ეკითხებიან ტელეგრაფით: „გვიბრძანეთ, როგორ უნდა შევხედოთ ინგლისის დეპუტაციის მოსვლას?“ პასუხი: მოსკოვის გრადონაჩალნიკს: „მუშათა მანიფესტაციები და სახალხო კრებები არ უნდა იქნეს დაშვებული.

არც ერთი საზოგადოებრივი და მთავრობის დაწესებულება არ უნდა იქნეს ინგლისელ მეგობართა კომიტეტის განკარგულებაში მიცემული. მათი პატივისცემის დღეს გააძლიერეთ ქალაქის დაცვა და სასტიკათ თვალყური ადევნეთ ინგლისის დეპუტაციას“. შინაგან საქმეთა მინისტრი პ. სტოლიპინი.

როგორც ხედავთ მინისტრი სისწორით ასრულებს შავრაზმელთა ბრძანებას. და ეს არც გასაკვირალია. მთავრობის უკანასკნელი წლების პოლიტიკა აშკარათ მიდიოდა აქეთკენ. დიდი ხანია მთავრობის ერთათ ერთ ძალათ, რომელზედაც მას შეუძლია დაეყრდნოს, შავრაზმელები, ეს საზოგადოების ნაძირალები შეადგენენ. ისინი იყვნენ აქტიური მოწინააღმდეგე რევოლიუციურ მოძრაობის, მათ მოუპოვეს მთავრობას „გამარჯვება“, გამარჯვება, რომელიც ამასთანავე მთავრობის სრული გაკოტრების მომასწავებელია, მარა მაინც დღეს-დღეობით სახელმწიფოს სათავეში სტოვებს ძველ ბიუროკრატიას; და სამაგიეროთ მათი პოლიტიკის სულის ჩამდგმელნი ისინი შეიქნენ. მათ სწყურიათ სისხლი, სწყურიათ „შინაური მტრების“ განადგურება და მთავრობაც აარსებს საზრჩობელების სასამართლოს, რომელიც განუწყვეტლივ ასალმებს სიცოცხლეს ბრალიანსა და უბრალოს. გაბატონდენ რა ასე შინაგან პოლიტიკაში, ხელი წაუპოტინეს გარეშე პოლიტიკასაც. ისინი აშკარათ აცხადებენ თავის სულის კვეთებას, არ ფარავენ თავის ხულიგანურ სახეს და მთავრობის ადვოკატი „როსსიაც“ იძულებულია ყოველ დღე ტყუილი აცხადოს, მთავრობა მათ ჭკუაზე არ დადისო. მარა ფაქტები რომ სხვას ლაღადებენ?

**კადეტების „კანონიერება“.**

მარა ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ასეთ აშკარა ხულიგანურ მთავრობისგან, ასეთ აშკარათ „ადამიანთა მოძულეებიდან“ ჩვენი რეალური პოლიტიკის მიმდევარი კადეტები შესაძლებლათ ცნობენ მშვიდობიანი, კანონიერი გზით თავისუფლების მოპოვებას. განა შეიძლება თავისუფლების მიღება იმათგან, ვისაც მხოლოდ ერთათერთი თავისუფლება ესმის, თავისუფლება უდანაშაულო ხალხის ცარცვის და აწიოკების? განა აშკარა არაა, რომ მთავრობა რევოლიუციონურ ნიადაგზე დგას, როცა ყოველ დღე არღვევს თავისსავე გამოცემულ კანონებს და სენატის განმარტებებით სპობს იმას, რაც შარშან 11 დეკემბრას მანიფესტით დააკანონა? განა ის აშკარათ რევოლიუციურ ნიადაგზე არა დგას, როცა პოგრომებს აწყობს, სტუდენტების და ებრაელების და საზოგადოთ ყველა თავისუფლებას მებრძოლთა წინააღმდეგ ამხედრებს საზოგადოების ნაძირალთ და მათი შემწეობით აპირებს რევოლიუციონერების შემუსვრას, განა მთავრობის ტერორი არ იყო გერცენშტეინის მოკვლა, განა მთავრობის მიერ დაწყებული მოქალაქობრივი ომი არ არის სტუდენტებზე თავდასხმა ოდესაში და სხვაგან. დიახ, დროა მარტო ცარიელი სიტყვებით ხულიგანურ პოგრომებათ მონათვლის მაგიერ, ნამდვილი აზრი გავიგოთ მთავრობის საშინელი რეპრესიების და მისი არმიის—შავრაზმელების „მოღვაწეობის“. ესაა მოქმედება რევოლიუციური გზით, მარა მოქმედება კონტრ-რევოლიუციური, კონტრ რევოლიუციას და რევოლიუციას კი ერთი გზა აქვს, ერთი საშუალება, ერთი ტაქტიკა. ძალის წინააღმდეგ ძალის დაპირდაპირება, მოქალაქობრივი ომისთვის მზადება და ამ ომიდან გამარჯვებული გამოსვლისათვის ხალხის დარაზმვა. მე ამით, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ მინდა, თითქო ჩვენი ერთათ ერთი საფიქრალი დღეს იარაღის ჩხარუნი უნდა იყვეს, არამედ იმას, რომ კანონიერ ნიადაგზე ბრძოლით გამარჯვების იმედი უტოპიაა, ოცნებაა. და თვით ცხოვრების ულმობელი მსვლელობა სულ სხვა ნიადაგზე დააყენებს იმათაც, ვინც გონიერი ზომიერებით და ზომიერი გონიერებით ცდილობს თავის პოლიტიკის სიკარგეში დარწმუნებას. ვიბორგის მანიფესტი, რომელიც ეხლა გარეშეა, რევოლიუციური აქტი იყო, ამის უტყუარი საბუთია. მთავრობის მხრივ მოქალაქობრივი ომი არამც თუ არ შეწყვეტილა, არც კი შესუსტებულა, პირიქით, უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღო, და ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალ დუმის კამპანიაში ყველაფერი უეცრათ შეიცვლება და თვით დუმა, თავის თავათ „რევოლიუციური ხალხის“ დახმარების გარეშე რაიმე მიზანს მიაღწევს, გარდა ხალხის ინტერესების ურცხვი ღალატისა. ცხადია, როცა განათლებული მსწავლული კადეტები—რეალურ პოლიტიკის სახელით ასაღებენ ასეთ ბავშვურ უტოპიას, მათი პირით ლაპარაკობს არა საღი ლოღიკა, არამედ ბურჟუაზიის იდეო-


ქ. ჩარკვიანის სახ. ს. ... სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ლოგი, რომელსაც უნდა ხალხის თავისუფლება, უნდა ამისთვის ხალხის ძალის გამოყენება, მარა თან ეშინია ამ ძალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის, რადგან ხალხის გულში მას ტახტის მაგიერ სამარე ეგულება თავის ბურჟუაზიულ მისწრაფებებისათვის. ამისათვის სჭირდებათ კანონიერების ქადაგება, უტოპიის უაღრეს რეალურ პოლიტიკათ აღიარება. მარა ცხოვრება გააქრობს მათ ოცნებებს და მათდა უნებურათ გამოიწვევს იმ ძალებს, რომელნიც გაარღვევენ კანონიერების შეზღუდულ კედლებს და ფართოთ გაუღებენ კარებს თავისუფლებას.

**უდანაშაულოთ დასჯილნი.**

სამხედრო-საველე სასამართლოები რომ მხოლოდ მოქალაქობრივ ომის ერთი უსაშინელესი იარაღთაგანია, რომ მას მიზნათა აქვს არა უსათუოთ ბოროტ-განმზრახველთა დასჯა, არამედ საზოგადოების დამონება და მყუდროების ყოველი დარღვევისათვის საზოგადოებიდან ვისიმეზე გულის ჯავრის ამოყრა, ეხლა ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. სასამართლოები ყოველ დღე სახრჩობელაზე აგზავნიან ახალ ახალ მსხვერპლებს და მერე განა ყოველთვის ნამდვილ ბოროტმოქმედთ? სრულიადაც არა. გუშინდელ ნომერში მოყვანილი იყო რამოდენიმე ფაქტი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილით დასჯის; მარა რამდენი ფაქტები რჩება გამოუაშკარავებელი? რამდენი იმალება პოლიციის საიდუმლო ქაღალდებში? აი ამის საბუთებიც: მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან შემდეგი ფარული ცირკულიარი მოსდის, რომელშიაც ნათქვამია, რომ „საველე სასამართლოებისაგან დასჯილი ზუევი, რომელსაც სასამართლომ ჩვენებაც კი არ ჩამოართვა, ნამდვილი დამნაშავე არ ყოფილა; გოროდოვოი მოუკლავს სხვას, ვიღაც პოპოვს, რომელიც საზღვარ-გარეთ გაქცეულა, და თან უმატებს: ვაქცევ რა თქვენ სერიოზულ ყურადღებას, როგორც სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარისას ამ მძიმე იურიდიულ შეცდომაზე, რომელსაც ამაღელვებელი გავლენა აქვს მცხოვრებთა გონებაზე, წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ მიიღოთ ზომები, რომ ასეთი ცნობები არ გავრცელდეს გაზეთების საშუალებით“.

აშკარაა უდანაშაულოთ მკვლელობა ეს ჩვეულებრივ მოვლენათაა გადაქცეული, თუ მას თვით მინისტრიც აქცევს ყურადღებას და ფარულ ცირკულიარებს სწერს მის შესახებ. მინისტრს, რასაკვირველია, არ ედარდება ასეთი მსხვერპლები; მას მხოლოდ ის აწუხებს, რომ ეს ხერხიანათ ვერ ხდება და ქვეყანა ტყობილობს. ცხადია, სამხედრო-საველე სასამართლოები მას მხოლოდ საზოგადოების განუკითხავათ საცელეტ იარაღათ მიაჩნია, და ემდურის მის გამოუცდელობას... დიახ, ძლეტენ არა მარტო დამნაშავეთ, არამედ მთელ საზოგადოებას. და განა იმასვე არ ჩადის დამსჯელი ექსპედიციები ლიტვაში, ჩვენში და მთელ რუსეთში? განა ასევე არ ძლეტენ ყველას, ვინც კი პირველათ შეხვდებათ გაბოროტებულ გულზე?

**საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაცია.**

ჩვენ საარჩევნო კამპანიას თავიდანვე მძიმე ლოდივით აწევს პოლიციის სასტიკი თათები. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციის მოქმედებას ყველგან ერთი და იგივე ხასიათი აქვს, ერთსა და იმავე ფორმებში იხატება. გუბერნატორები, ბოქაულები, საეროზო უფროსები, სოფლებში დაიარებიან და გლეხებს აგონებენ, მთავრობის მომხრე პირები უნდა აირჩიოთო. სადაც შეუძლიათ ყოველგვარი ბიუროკრატიული ხრიკებით უარს ეუბნებიან ცენზის მქონეთ ცენზის შემოწმებაზე, რომ ამით საშუალება მოუსპონ მათ საარჩევნო უფლებით სარგებლობის. პოლიციის შემოწმება ესაჭიროება, როგორც ვიცით, ქალაქში წვრილ ბინის პატრონთ, რომელნიც ბინის გადასახადს არ იხდიან და სოფელში უმთავრესათ მოიჯარადრე გლეხებს, ეს ელემენტები კი მთავრობას თავისთვის არა საიმედო ელემენტებათ მიაჩნია და ამიტომ პოლიცია მათი ცენზის შემოწმებაზე უარს აცხადებს. ასე იქცევა თფილისის პოლიციაც, მანაც მრავალი ბინის დამქირავებელი დასტოვა უუფლებოთ. ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს ადგილობრივი ხრიკებია ადგილობრივი ბიუროკრატების, მარა რუსეთის გაზეთებშიაც ასეთივე ფაქტებია და ხშირათ უარესიც გვხვდება რუსეთის ქალაქებიდან, მაგ. სიმფეროპოლიდან კაზანიდან და სხვ.

ვარშავის პოლიცია კი არამც თუ თვითონ არ აძლევს მოწმობას, არამედ ატუსაღებს კიდეც ისეთ პირებს, რომელნიც ურჩევენ ბინის დამქირავებელთ თავიანთი უფლებებით სარგებლობას..

ამნაირათ აშკარაა ეს საერთო პოლიტიკაა საარჩევნო რეპრესიების, რომლის სათავე მინისტრთა კაბინეტში უნდა ვეძებოთ; მომავალშიაც ცხადია სამინისტრო არა ერთ სიურპრიზს გვიმზადებს ამ ნიადაგზე. საარჩევნო კანონით სამაზრო და საგუბერნიო საარჩევნო კომისიები უნდა შედგენ დღიდან არჩევნების ვადის გამოცხადებისა, მარა ახლა მინისტრის ცირკულიარით ეს უარყოფილია და ეს კომისიები დაუყონებლივ უნდა შეუდგენ მოქმედებას. რა უნდა იყოს საგანი მათი მოქმედების, თუ არა იგივე არაკეთილსაიმედო პირების რაიმე გზით საარჩევნო ყუთიდან ჩამოშორება?

მთავრობის რეპრესიები, ეჭვს გარეშეა, უხვათ მოეფინება საარჩევნო კამპანიას, მით უმეტეს საჭიროა ენერგიული ჩარევა არჩევნებში, ენერგიული ბრძოლა ყველა ამ პოლიციურ ხრიკებთან. მით უფრო საჭირო მეტი სიფხიზლე, მით უმეტეს საჭიროა ყველა შეგნებულ პირების მიერ განუწყვეტელი ბრძოლა საერთო აპატიასთან, არჩევნებზე უგულოთ მოპყრობასთან, რომელიც შედეგია ჩვენი საზოგადოების სრული პოლიტიკური მოუმწიფებლობის და გამოუცდელობის. მნიშვნელოვანია ეს საარჩევნო კამპანია მთელი საზოგადოებისთვის, მასზე დიდათაა დამოკიდებული განმანთავისუფლებელი მოძრაობის მომავალი.

მაშ სიფხიზლე და ბრძოლა საარჩევნო კამპანიის ხალხას გამარჯვებით დამთავრებისათვის, ბრძოლა ჩინოვნიკურ ხრიკებთან და ძალმომრეობასთან!

## საარჩევნო კამპანია

**მთავრობის ზომები მომავალ დუმის არჩევნების კეთილათ დასაგვირგვინებლათ.** ამ უკანასკნელ ხანებში მთავრობას გადაუწყვეტია მომავალ არჩევნების დროს არც ერთ კავშირს და პარტიას არ მისცეს ნება თავისუფლათ გასწიოს არჩევნების წინასწარი აგიტაცია გარდა მონარქიულ ორგანიზაციების და 17 ოქტომბრის კავშირისა. ამ მიზნით გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს უკვე დაუგზავნეს მიწერილობა სასტიკი ყურადღება მიაქციონ მემარცხენე პარტიებს, რომ მონარქიულია პარტიების სახელით მათ არ შეიკრიბონ და აგიტაცია არ გასწიონ არჩევნების დროს. ამნაირათ არჩევნების დროს არც ერთ პარტიას არ ექნება ნება შეიკრიბონ და აგიტაცია გასწიონ, გარდა მონარქიული პარტიებისა, როგორც მაგალითათ „წმინდა რუსთა კავშირს“ და სხვ. თითქმის მშვიდობიან განახლების პარტიის შესახებაც არ არის ჯერ მთლათ კითხვა გადაწყვეტილი. იქნება შემთხვევა, რომ მათაც აღუკრძალონ კრებას: კადეტებზე ხომ ლაპარაკი მეტია, მთავრობამ უკვე მისცა მათ რეგისტრაციის „პატენტი“

**მოსკოვის ქალაქის გამგეობამ რუსეთის მთავრობას გაუწყრო.** როგორც ვიცით სენატმა ამ უკანასკნელ ხანებში განმარტა, რომ რკინის გზის იმ მოსამსახურეებს, რომლებიც ბინის გადასახადს არ იხდიან, ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ. მოსკოვის ქალაქის გამგეობამ ეს განმარტება გარკვეთ გაიგო, მარა მას მეორე თავსატეხი გადაეყდა დუდგა წინ. ჩაეთვალათ თუ არა რკინის გზის მოსამსახურეებათ კონკებზე და ტრამვაიზე მოსამსახურეები; დიდი თათბირის შემდეგ გამგეობამ სულ უბრალოთ გადაწყვიტა კითხვა, კონკებზე და ტრამვაიზე მოსამსახურეები, იგივე რკინის გზის მოსამსახურეები არიან და ამიტომ მათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ და სიიდან ამორიცხა ყველანი.

**მუშების პროტესტი.** დონის როსტოვის წვრილ მწარმოებელ მუშებმა, რომლებიც ბინის გადასახადს არ იხდიან, განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში, შეეტანათ ისინი საარჩევნო სიაში, მაგრამ უარი მიიღეს. როგორც ხმები დადის, მუშებს უნდათ ამას გამო სასტიკი პროტესტი გამოაცხადონ.

**პოლიციელების საქმიანობა.** კიშინოვის პოლიცია ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ მოქალაქეებს უარით ისტუმრებს, ხოლო გლეხებს და „მეშჩანებს“ კი პირდაპირ სახლიდან აგდებს, როცა მასთან მიდიან მოწმობების ასაღებათ.

ასე იქცევა ელისავეტოგრადის პოლიციაც. მეორე საპოლიციო ნაწილში უარს ეუბნებიან მოწმობების მიცემაზე.

# ახალი ამბები

◆ 13 ნოემბერს საღამოს 8 საათზე შესდგა ტფილისის **ქალაქის საბჭოს სხდომა** ქალაქის თავის ვ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით. გამგეობამ საბჭოს განსახილველათ წარუდგინა თავისი დადგენილება, რომ პურის მე-2 და მე-3 ხარისხზე ნახევარი კაპ. მოემატოს, რადგანაც ფქვილი გაძვირდა და მეპურეები აცხადებენ, დღევანდელ ფასებში ძალიან ვზარალობთო. საბჭომ ეს მოხსენება უსაბუთოთ სცნო და მისი განხილვა ერთი კვირით გადასდო. ამ დროისთვის გამგეობამ უნდა შეკრიბოს ცნობები თუ რამდენათ გაძვირდა საზოგადოთ რუსეთში ფქვილი. საბჭომ არ შეიწყნარა თფილისის მეეტლების შუამდგომლობა, რომ მათ ცხენებზე გადასახადის დროზე შეუტანლობისათვის ჯარიმა არ გადახდოდათ. შემდეგ გამგეობის წევრმა ხატისოვმა საბჭოს წარუდგინა ხმ. სტ. ქრელაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ ხელ მეორედ გადასინჯოს საბჭომ თვისი დადგენილება ავჭალის გლეხების მოთხოვნილების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ავჭალის წყლის მილები რამდენიმე ვერსტზეა გაყვანილი; გლეხების სანადელო მიწები და ეს მიწები ქალაქს შეუსყიდია მემამულე გურამიშვილისაგან და საბუთებიც აქვს ამ მიწის მესაკუთრეობაზე საბუთები ქონიათ აგრეთვე გლეხებსაც, რომელნიც მიწების სადირალ ფასათ ითხოვენ 30,000 მან. რადგან ქალაქს შეძენილი ქონია მიწები, ამის წინათ გამგეობამ საბჭოს წარუდგინა მოხსენება, გლეხების შეუგნებლობით სარგებლობა ქალაქს არ შეშვენის და 2000 მან. მაინც მიეცეთ მათაო. საბჭომ მაშინ უარყო ეს წინადადება. ამაზე ხმ. ქრელაშვილმა განცხადება შეიტანა საბჭოში და მოითხოვა ხელმეორეთ საქმის გადასინჯვა, რადგან საბჭოს დადგენილება უსამართლოაო, მით უმეტეს, რომ მიწების მესაკუთრენი ჩვენ კი არა, გლეხები არიანო. საბჭომ ხმ. ქრელაშვილის წინადადება მიიღო და საქმის შესწავლა მიანდო იურისტ ხმოსნებისაგან შემდგარ კომისიას. ამავე სხდომაზე საბჭომ ამოირჩია პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის გამგე კომისიის წევრებათ ხმ. [illegible] მ. არგუთინსკი, ვ. ს. მიქელაძე, სტ. [illegible] ქრელაშვილი, ი. მ. დოლუხანოვი, რ. იოანესიანი, ა. ბილდასაროვი და ექიმი უმაკოვი.

◆ ტფილისის **სამოსამართლო პალატაში** 13 ნოემბერს წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაირჩა პოლიტიკური საქმე, რომლითაც პასუხის გებაში მიცემული იყო ნაძალადევის ეკლესიის მცველი გრიგოლ ნატალაშვილი. გ. ნატალაშვილს ბრალდებოდა ის, რომ იგი ვითომც წევრათ იყო საიდუმლო საზოგადოებისა, რომელსაც მიზნათ დასახული აქვს არსებულ სახელმწიფოს წეს-წყობილების დანგრევა. ნატალაშვილს ბრალდებოდა აგრეთვე ყუმბარების შენახვა. ამ საქმის გამო პალატამ 12-მდე მოწმეს გამოკითხა. პალატამ დამნაშავეთ იცნო გრ. ნატალაშვილი და გადაუწყვიტა ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და ციმბირის შორეულ ადგილებში სამუდამოთ გადასახლება.

◆ თფილისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით არხანგელის გუბერნიაში **იგზავნება** ორი წლის ვადით მარიამ ზურაბის ასული ელიავა, რომელიც ორი კვირის წინათ იყო თფილისის საგუბერნიო ციხეში დაპატიმრებული.

◆ 24 სექტემბრიდან 14 ნოემბრამდე მიმდინარე წლისა თფილისის საგუბერნიო ციხეში **ჩამოახრჩვეს ორი და დახვრიტეს შვიდი** კაცი.

◆ გუშინწინ 13 ნოემბერს, თფილისის საგუბერნიო ციხიდან **გაანთავისუფლეს** ივანე ვასილის ძე ხანდამიშვილი.

◆ 13 ნოემბერს საგუბერნიო ციხეში, დილის 7 საათზე სისრულეში მოიყვანეს სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვე-

# ფელეტონი

—:—

**ჩვენ და ანარქისტები**

I

ვინც კი სოციალისტურ ლიტერატურის ისტორიას ოდნავ მაინც გაეცნობა, იმას უსათუოთ ეცოდინება, რომ თეორიულ ბრძოლას სოციალდემოკრატებსა და ანარქისტებს შორის ძალიან გრძელი ისტორია აქვს. ჯერ ისევ 1846 წ. „ინტერნაციონალის“ დაარსებამდე, მეცნიერულ სოციალიზმის შემქმნელ კ. მარქსს, სოციალ-პოლიტიკურ კითხვებზე, პირადათ დიდი კამათი ჰქონდა ანარქისტების მამათ-მთავარ პრუდონთან. ამათ, საფრანგეთის დედა-ქალაქ პარიჟში, ასეთ კამათში ხშირათ მთელი ღამეები გაუტარებიათ; ამ კამათში თანდათან აშკარათ ირკვეოდა ამ ორ ლიდერების შეხედულებათა სხვა და სხვაობა. როცა პრუდონმა თავის თხზულება „სიღატაკის ფილოსოფია“ გამოაქვეყნა, მაშინ ხომ ერთხელ და სამუდამოთ აშკარათ დამტკიცდა, რომ ესენი სულ სხვა და სხვა შეხედულების მატარებლები არიან. სწორეთ ამ გარემოებამ აიძულა კ. მარქსი 1846—1847 წ. გამოეცა თავისი უკვდავი წიგნაკი: „Das elend der Philosophie“ (ფილოსოფიის სიღატაკე) პრუდონის საპასუხოთ, რომელშიაც მან სამაგალითოთ დაამტკიცა პრუდონის და საერთოთ ანარქისტულ მოძღვრების სრული უსუსურობა. აი აქედან იწყება მარქსისტებსა და ანარქისტებ შორის განუწყვეტელი თეორიული კამათი, აქედან იწყება ამ ორ მიმდინარეობათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ანარქისტების მხრივ, ჩვეულებრივ საძაგელ ფორმას ღებულობდა. სანიმუშოთ თუნდაც გავიხსენოთ, როგორ ურცხვათ იქცეოდა მიხეილ ბაკუნინი „ინტერნაციონალის“ თავმჯდომარე მარქსის წინააღმდეგ. ჩვეულებრივ მ. ბაკუნინი „ინტერნაციონალის“ კონგრესებზე სულგანაბული იჯდა და თავმჯდომარის მიმართულების წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა; მხოლოდ „ინტერნაციონალის“ გარეთ უმსგავსო ჭორებს ავრცელებდა მარქსის მოღვაწეობაზე და საერთოთ მის მოძღვრებაზე. ასეთი საშუალების ხმარება ანარქისტებმა იმ თავიდანვე შეისისხლ-ხორცეს და დღესაც დიდის მოხერხებით ხმარობენ მას, რომ თავიანთი გაცვეთილი იდეები მუშებში გაავრცელონ და მით თანამედროვე პროლეტარიატის პარტიული მოძრაობა და მისი პროფესიონალურ კავშირების მოქმედება შესწყვიტონ. ანარქისტების იდეოლოგები დღეს ჩვენშიაც ჩნდებიან და დიდი რიხით ცდილობენ სოციალდემოკრატიულ მოძღვრების გაბათილებას, სოციალდემოკრატიულ პარტიის პროლეტარიატის თვალში გაშავებას. ამისთვის, საჭიროთ მიგვაჩნია, ჩვენს ადგილობრივ ორგანოში, ხაზგასმულათ აღვნიშნოთ, თუ რა განსხვავება არსებობს ჩვენსა და ანარქისტებს შორის.

თვით ბურჟუაზიული მეცნიერებიც კი სოციალდემოკრატებს და ანარქისტებს ახლა ერთმანეთში აღარ ურევენ, ისინიც კი აღიარებენ მათ განსხვავებას. ამ ორი მოძღვრების მიმდევარნი ხომ საქვეყნოთ აცხადებენ, რომ მათ შორის განსხვავება ნამდვილათ ერთობ დიდია, რომ ეს ორი სოციალისტური მოძრაობა ერთი მეორეზე ძალიან დაშორებულია. ამათ მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო, ესენი, ე. ი. სოციალდემოკრატები და ანარქისტები, გმობენ და უარყოფენ ბურჟუაზიულ წეს-წყობილებას, ორივენი გმობენ და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ კაპიტალის დაგროვების მიერ გამოწვეულ უსამართლობას, რომლის ტენდენცია, ერთ მხარეს დააყენოს ხალხის პატარა უმცირესობა—კაპიტალისტთა კლასი, შეძლებული, გამდიდრებული სხვისი ექსპლოატაციით (გაყვლეფით), მეორე მხრივ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა—გაყვლეფილი და გაღატაკებული მასსა—პროლეტარიატი. ორივენი ღრმათ არიან დარწმუნებულნი, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას არ შეუძლია არსებულ სოციალურ უკუღმართობის მოსპობა, პირ-იქით იგი თავის წარმოების წესით ხელს უწყობს და აძლიერებს მას. თავისუფლება, კერძო საკუთრება, ოჯახი, ქორწინება, სარწმუნოება და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, ყველა გახრწნის გზაზე დაექანა. დღევანდელი ბურჟუაზიული საზოგადოება ყოველ გვარ ხერხს ხმარობს დასახელებულ დაწესებულებათა გასამაგრებლათ, მაგრამ ამაოთ, ვინაიდან თვით ბურჟუაზიული წარმოების წესი ხრწნის და სპობს მათ არსებობას. განა იმ საზოგადოებაში შეიძლება თავისუფლებაზე ლაპარაკი, სადაც ხალხის დიდ ნაწილს არ შეუძლია თავის ცხოვრება თავის საბედნიეროთ და საკეთილდღეოთ მოაწყოს? საკუთრება ხომ დღეს უმცირესობის პრივილეგიას (უპირატესობას) შეადგენს. მცხოვრებთა უმრავლესობას—მასსას კი არავითარი საკუთრება არ მოეპოება, გარდა თავის სამუშაო ძალ-ღონისა, რომლის გაყიდვით იგი ვაი-ვაგლახით ირჩენს თავს. კაპიტალიზმმა გახრწნა და დაშალა ოჯახის მყუდროება, გაიშორა ოჯახის წევრნი ერთმანეთს, გამორეკა ოჯახიდან დიდი და პატარა, ქალი და კაცი, შეაბა თავის წარმოების უღელში—ლუკმა პურის საშოვნელათ. მთელი დღეები, კვირეები და ხშირათ თვეებიც, მშობლები ვერ ხედავენ თავიანთ შვილებს, რომლების აღზრდა ოჯახის მთავარ მიზანს შეადგენს; ისინი დილით ადრე მიდიან სამუშაოთ და მხოლოდ შებინდებისას ბრუნდებიან. რელიგია (სარწმუნოება) დღეს იარაღია ხალხის გაყვლეფის და გამოჩერჩეტებისა. ასე სოციალდემოკრატები და ანარქისტები, ორივენი აშკარათ გრძნობენ კაპიტალიზმის მიერ გამოწვეულ სოციალურ უკუღმართობას, აუცილებლათ საჭიროთ სცნობენ არსებულ წეს-წყობილების—ბურჟუაზიულ ურთიერთობის გაუქმებას.

მაგრამ ამ ორ სოციალისტურ მიმდინარეობას თავის მიზნის მისაღწევათ სულ სხვადასხვა გზა აქვთ არჩეული, სულ სხვადასხვა საშუალებას ხმარობენ თავიანთ მომავალის განსახორციელებლათ. განსხვავება მათ შორის სწორეთ არსებულ სოციალურ უკუღმართობის მიზეზების შეგნებაში გამოიხატება. განსაკუთრებით კი იმაში, თუ როგორ და რა გზით შეიძლება დასახულ იდეალის მიღწევა. ჩვენის აზრით, მიზანი და საშუალება—ეს ორი სულ სხვადასხვა გვარი მცნებაა, თუმცა საშუალება მუდამ უნდა ეთანხმებოდეს მიზანს; და ყველას, ვისაც რამე მიზანი აქვს დასახული, მას უსათუოთ თავის მიზნის შესაფერი საშუალებაც უნდა ქონდეს გამონახული; ხშირათ ხდება ხოლმე, რომ პარტია მიმართავს ისეთ საშუალებას, რომელიც სრულიადაც არ შეეფერება მის მიერ დასახულ მიზანს. ამგვარი შეცდომები ხშირი მოვლენაა სოციალიზმის ისტორიაში. რობერტ ოუენი და ფურიე, ეჭვს გარეშეა, რევოლუციონურ მიზანს ესწრაფოდენ, მაგრამ იმედი ქონდათ მისი მშვიდობიანი გზით განხორციელების. ეს წინააღმდეგობა მიზანსა და საშუალებას შორის ერთათ-ერთი სუსტი მხარეა უტოპიურ სოციალიზმისა. ჩვენი სოციალიზმი ვერ დაიმსახურებდა მეცნიერულ სოციალიზმის სახელს, რასაც თვით ბურჟუაზიული იდეოლოგებიც კი აკუთვნებენ მას, ჩვენი მიზანი და საშუალებები რომ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდეს. მარტო ის არ კმარა, რომ ვსთქვათ: „ჩვენი მიზანი რევოლუციონურია, ჩვენ ვიბრძვით მომავალ სოციალისტურ საზოგადოების დასამყარებლათ“! მართალია, ჩვენი მიზანი ბევრათ უფრო რევოლუციონურია ყველა იმ მიზნებზე, რომელიც კი დღევანდლამდე ჰქონდა დასახული კაცობრიობას; მაგრამ ისიც აუცილებლათ საჭიროა, რომ დიად რევოლუციონურ მიზნის მისაღწევათ, დიადი რევოლუციონური საშუალებანი ვიხმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენც ისეთივე აუცილებელი შეცდომა მოგვივა, როგორიც მოუვიდათ უტოპისტებს. ასე, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა საშუალების ხმარება დიდათ ანსხვავებს ერთი მეორიდან ორ სოციალისტურ მიმდინარეობას და იწვევს მათში სრულ წინააღმდეგობას. სოციალდემოკრატიულ და ანარქისტულ მიმდინარეობის შორის წინააღმდეგობა აღმოცენდა იქიდან, რომ მათ სხვადასხვა ნაირათ აქვთ წარმოდგენილი საზოგადოების წარსული, სხვადასხვა გვარი ისტორიული შემეცნება აქვთ შემუშავებული. რასაკვირველია, ადვილი საქმე არაა ანარქისტების ისტორიულ შეხედულებაზე, მათ თეორიაზე ერთნაირი გარკვეული შეხედულების შემუშავება. ანარქისტული სწავლა-მოძღვრება ბევრგვარია. თვითეული ანარქისტის მიერ შეთითხნილი ორიოდე არეულ-დარეული „თავისუფლების“ იდეა მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაზე, პოლიტიკურ ტერორით შეზავებული, განსაკუთრებულ ანარქიზმს შეადგენს. ამის მიხედვით ანარქიზმი შეიქნა ერთნაირი კრებული მრავალ სხვადასხვაგვარ აზრებისა. კაცმა რომ შემთხვევით ორი ანარქისტის ბაასი მოისმინოს რომელსამე ანარქისტულ თეორიაზე, ორ სულ სხვადასხვა შეხედულებას შეამჩნევს. ერთი სიტყვით თითეულ ანარქისტს თავის საკუთარი თეორია აქვს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ანარქიზმის ისტორიის დამწერისათვისაა სავალდებულო დაწვრილებით განიხილოს დოქტრინები შტირნერისა, პრუდონისა, გრიუნისა, ჰესსესი, მარისა, ბაკუნინისა, ბროუსხი, ნეჩაევისა, მიხელის, რეკლიუს, მოსტის, ტუკერის, მაკაის, კროპოტკინის, ნიცშეს, ტოლსტოის და სხვების. ჩვენთვის სრულიად საკმარისი იქნება, ანარქისტების მთავარ მსოფლ-შეხედულების აღნიშვნა, განსაკუთრებით კი ორ ძირეულ მიმდინარეობის—ინდივიდიალურის და კომუნისტურის, რომლებიც შედარებით ნათლათ და გარკვეულათ შეიცავენ მთელ ანარქისტების მოძღვრებას.

ჩვენ ანარქისტებს ერთობ დიდი წარმოდგენა აქვთ თავიანთ ისტორიულ მოვლენების კვლევის მეთოდზე. პ. კროპოტკინი გაბედულათ გაიძახის, ანარქისტები თანამედროვე ბუნების მეტყველების ინდუქტიური და დედუქტიური კვლევის მეთოდს ხმარობენ ისტორიულ მოვლენების ასახსნელათო, მაგრამ სულ ამაოთ ეძებს კაცი, ანარქისტების ნაწერებში ამ ნაყოფიერ კვლევის მეთოდის ხმარებას. ამ მეთოდით, როგორც

ტილება სარდიონ სიხარულიძის დახვრეტის შესახებ.

✦ დღეს 15 ნოემბერს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო განიხილავს საქმეს **პორუჩიკის ქარცივაძისას**, რომელსაც მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება ბრალდება. ბრალდებულს ქარცივაძეს დაიცავენ ვექილები რ. იოანესიანი და მ. გრუზენბერგი.

✦ დაბა საჩხერედან გვწერენ, რომ წელს ზემო იმერეთში საზოგადოდ ძალიან ცუდი მოსავალი ყოფილა და რომ ქიათურაში გაძლიერებული შავი ქვის წარმოება მცხოვრებთ სულს არ უბრუნებდეს, იქაც მოსალოდნელი ყოფილა შიმშილი. ამ ორი წლის განმავლობაში საზოგადოდ ხალხი ძალარიბდა და დარჩენილ გადასახადებმა იმდენად მოიყარა თავი, რომ ხალხს მეტად უჭირს გადახდა. მიუხედავად ამისა პოლიცია იძულებულს ჰყოფს ხალხს, როგორც წასული წლებისა, ისე მომდინარე წლის გადასახადები დაუყონებლივ გადაიხადონ. საჩხერის საბოქაულოს ზოგიერთ სოფლების ამ უბედურებას ისიც მიმატებია, რომ იგინი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს 8000 მან. დაუჯარიმებია. გენერალ-გუბერნატორისათვის უცნობებიათ, რომ სექტემბრის ბოლო რიცხვებში საბოქაულოს ბევრ სოფლების გლეხობას საერთო კრება გაუმართავთ მიწებზე ღალის საქმის მოსაწესრიგებლად. კრების გამართვისათვის ხალხისათვის 8000 მან. ჯარიმა შეუწერიათ.

✦ ამას წინათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარია შეეკითხა თფილისის **ქალაქის გამგეობას**, რა მონაწილეობას მიიღებს ქალაქი ახალ სამასწავლებლო სემინარიის შესანახ ხარჯებში, თუ მთავრობა სემინარიას დაარსებსო. ეს საქმე გამგეობას გადაუცია ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისათვის, რომელსაც დაუდგენია, მიეცეს მთავრობას სემინარიის სადგომისთვის საჭირო ადგილი და ქალაქმა რამდენიმე სტიპენდიანტი იყოლიოს სემინარიაშიო. ეს დადგენილება საბჭომ განიხილა 13 ნოემბრის სხდომაზედ და დაადგინა მიიღოს სასწავლებელთა კომისიის დადგენილება, თუ მთავრობა სემინარიას თფილისში დაარსებს.

✦ 13 ნოემბერს საღამოთი თფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში **დანიშნული კრება** თფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა არ შესდგა, რადგანაც კრებას საკმაო რიცხვი წევრებისა არ დაესწრო. კრება 22 ნოემბრისათვის გადაიდო.

✦ 11 ნოემბერს, საღამოთი **კავკასიის ნამესტნიკის** საბჭოს სატეხნიკო კომისიას სხდომა ჰქონდა სოლოლაკის კლდის ქვეშ ბოტანიკურ ბაღში ტუნელის გაყვანის შესახებ. ტუნელის გაყვანის უფლება ეს მეოთხე წელია ითხოვეს ინჟენერმა ბრაილოვსკიმ და საქმეს აფერხებს ის, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი კავკასიაში ითხოვს კონცესიონერებისაგან ერთდროულათ 41,000 მან. ბაღის კედლის შემოსავლებლათ და ყოველ წლიურ 6000 მან. სხვა და სხვა ხარჯებისათვის. ქალაქის გამგეობამ კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან იშუამდგომლა, რომ ნება მისცემოდათ აღნიშნულ ინჟენრებს ფულების გადაუხდელათ ტუნელის გაყვანისა. 11 ნოემბრის სხდომაზე სატეხნიკო კომისიამ დაადგინა ადგილობრივ დაათვალიეროს 15 ნოემბერს სოლოლაკის გორა იმ საკითხის გამოსარკვევათ, რომ ინჟენრებს ბრაილოვსკისა და ხატისოვს შეიძლება მიეცეთ უფლება ზემო აღნიშნულ ფულების გადაუხდელათ ტუნელის გასაყვანათ, თუ არა.

✦ ს. ხ. სულხანოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში და აცნობა, რომ იგი უარს ამბობს **ხმოსნის თანამდებობაზე**, რადგანაც მას დრო არ აქვს სხდომებზე სასიარულოდ. 80 ხმოსნიდან საბჭოს სხდომებზე ოთხი წლის განმავლობაში თითქმის ორი მესამედი არ დადიოდა, რის გამოც ქალაქის საქმეები ძალიან შეფერხებულია. ფინანსების მხრივ ქალაქი დიდ კრიზისს განიცდის.

## პროვინცია.

**სოფ. გორდიდა და კინჩხა** (სენაკის მაზრა). „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ სწორეთ ზედ გამოჭრილათ ითქმის ამ ორ სოფელზე. ისედაც ეკონომიურათ დაცემულნი და უღვლნაირათ შევიწროებულნი, წელს სიმინდისა და ღვინის მოუსავლობამ, ერთიანათ გატეხა წელში ეს სოფლები და დიდი შიმშილობა დაატეხა თავზე. ეს იმიტომ, რომ ჩვენში სიმინდს, ფულიც რომ გქონდეს, ვერ იშოვნი გასაყიდათ და თუ დ. ხონიდან მოვატანიებთ, სიმინდი ფუთი ქქვსი აბაზი დირს და აბა სად გააჩნია ისედაც ქონებრივათ გაფცქვნილ გლეხობას ამდენი ფული? მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ამ გვარ უბედურებას კიდევ ზედ დაერთო შემდეგი შემაძრწუნებელი ფაქტი: საქმე იმაშია, რომ შემამულე ჩიქოვანისა და დადიანის „ვექილმა“, ბ. ქოჩაკიძემ, სტრაჟნიკების დახმარებით ხელი მიყო ზემოხსენებულ სოფლების აწიოკება-ათხრებას: ვისაც ახალი სახლი ქონდა აგებული ან და ხე-ტყე ქონდათ სახლის წინ დაგროვებული, ყველას დაურღვიეს იმ მოსაზრებით, რომ ვისაიდან სახლი ახალია, მისი მასალა მემამულეების ტყეებიდან იქნება მოჭრილი. დაშლილ სახლს სოფელს აზიდვინებენ თავის ხარ-კამეჩით „კანცელარიაზე“, სადაც ირგვლივ ჩიქოვანების სახლებია გაშენებული. ესეც არ გვაკმარეს საწყალ ტყვ-გამძვრალ ხალხს, იმოვეს დრო და 3 წლის გადაუხდელ ღრამის ფულს ერთათ გვახდევინებენ კომლზე 6 მანეთს. და ვაი იმას, ვინც ურჩობას გაბედავს! მათრახების ტყაპა-ტყუპით გვახდევინებენ სრულათ 6 მანეთს; გვაქვს, თუ არ გვაქვს იმას ვინ კითხულობს, არ გაქვს და უნდა რამენაირათ გააჩინო, სულ რომ ჩარჩის ხელში ჩავარდე; ხმის გაცემა ხომ არ შეგიძლია, რადგან ერთი სიტყვისათვის, როგორც ურჩს, როგორც „ბუნტოვჩიკს“ ცივ ქვეყანაში გიკვრენ თავს ან და ციხეში დაგალპობენ. აი სწორეთ ერთი სიტყვისათვის იყო, რომ ამ დღეებში ერთმა გახულიგანებულმა სტრაჟნიკმა კინაღამ წუთისოფელს გამოასალმა გლეხი რემახოზ ქარსანიძე; ქარსანიძეს მან თოფი ესროლა და მძიმეთ დასჭრა ის ფეხში.

აი ასეთ უმწეო ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ.

ნეტავი როდის მოეღება ბოლო ყველა ამ სისაძაგლესა და ადვირ ახსნილობას?

სოფლელი მუშა

—

**დ. ბორჯომი.** ორშაბათს, 6 ნოემბერს ბორჯომის ცნობილი ბოქაული პეტროვჩაკი თურმე მთვრალი მიდიოდა ღამე გოფმესტერის ქუჩაზე. აკოფოვის მაღაზიასთან მას ამოუღია რევოლვერი და დაუწყია ჰაერში უმიზეზოდ სროლა, რის გაგონებაზე პატრულსაც ჰაერში რამდენჯერმე დაუცლია თოფები. ყოველ იწყის გაუშა, რომ პეტროვჩაკის ასეთი საქციელი სამღვილი პროვოკაციაა, რაიც ბორჯომის საზოგადოებამ მხედველობაში უნდა მიიღოს და შესაფერი ზომები მიიღოს ბოქაულის წინააღმდეგ. ამავე ბოქაულმა დააპატიმრა და გორის საპატიმროში გაგზავნა შუშის ქარხნის მუშა. სიხარულიძე, რომელიც ერთად-ერთი მარჩენელია მოხუცებული დედ-მამის და ძმების. ბოროტმა ენამ დაასმინა ეს მუშა ბოქაულთან, ვითომ ის მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

აღნიშნულ ბოქაულს მუშტი-კრივიც ზედ მიწევნით სცოდნია და დაპატიმრებულებს ცემა-ტყეპა არ დააკლო.

არც აწყურის ბოქაული ზოგავს ენერგიას, რომ თავი ისახელოს უფროსებთან „შემჩნეულ“ პირების დაჭერით.

პატარა ბავშვებს ეკითხება თურმე სად იმალებიან ერთობის ხალხი, სოფელში ვისთან მოდიან და რას ლაპარაკობენო. როგორც სჩანს დიდებს მის თვალში ნდობა დაუკარგავთ.

სოფ. სკირის გლეხობა ძალიან ემდურის ტყის მცველ გაბო ნაკიტინს, რომელიც გლეხების სისხლით აქამდე ვერ გამძღარა და დამის ხალხს სული ამოართვას.

ამავე გლეხებს წურბელასავით სისხლსა სწოვს მამასახლისი სულეიმან იბრაგიმ ოღლი, ძალიან უყვარებია მას ქრთამების აღება. ხშირათ ცემატყეპითაც უხვდება ხოლმე მის „ურჩს“ გლეხს. ამ მამასახლისის საბრძანებელს შეადგენს სოფლები: დვირი, სკირე, ტაძრისი და დგვარი. ამ სოფლების გლეხები ყველანი ემდურიან მას და საკვირველი ისაა, რომ მამასახლისთან და პოლიციასთან, რომლის უვარგისობა ყველამ დაინახა, მაინც გარბიან; ამ სოფლებში არიან არჩეული კაცები, რომლებსაც ხალხის თანადასწრებით დავალებული ქონდათ სოფლის საქმეების გარჩევა, მაგრამ, როგორც ჩანს ეს ვაჟბატონები არ იწუხებენ თავს. საჭიროა გლეხები თავიანთ საქმეებს თითონვე არჩევდენ, მით უმეტეს თავისი თვალით ხედავენ თუ რა ხეირს უნდა მოელოდნენ პოლიციისაგან.

სოფ. დვირში დგას ყაზახთა პატარა რაზმი [illegible] ამ რაზმის სამმა ყაზახმა ახალციხეში მიმავალ ფურგონიდან მოიპარეს ერთი იაშჩიკი სავაჭრო საქონელი. ეს საქმე გამოიძიეს და ურიადნიკი შვიდი დღით დაუპატიმრებიათ.

სოფ. სკირეში არის მღვდლათ პავლე გურგაძე, რომელიც განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენს ღოთობისადმი. ხშირათ მღვდელთ-მოქმედებას მთვრალი ასრულებს. გინებაც ჩინებული სცოდნია. ხალხი იძახის: ეს რა ღვთის რისხვა მოგვევლინა, არ იქნა ვედარ მოვიშორეთ თავიდანაო“. იშვიათათ ნახავთ სკირეში, ტაძრისში და დგვარში ისეთ ოჯახს, რომლისთვისაც ამ სულიერ მამას სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიეყენებინოს.

ფუტკარი

## პარტიის ცხოვრებიდან

**რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის დეკლარაცია.**

რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის პეტერბურგის კომიტეტს აზრათ აქვს საარჩევნო კამპანიის წინათ წარუდგინოს პარტიას განსახილველათ ის დეკლარაცია, რომელსაც ს.-დემოკრატი დეპუტატები წამოაყენებენ დუმაში. ასე წინდაწინ შემუშავებული დეკლარაცია, სადაც სავსებით აღნიშნული იქნება ს.-დ. პროგრამა მინიმუმის მოთხოვნები, პეტერბურგის კომიტეტის აზრით წინასწარ აგიტაციის პლატფორმა იქნება. მოთხოვნათა ასეთი ფორმულიროვკა მით უფრო საჭირო იქნება, კომიტეტის აზრით, უკეთუ პარტია შეთანხმების ტაქტიკას მიიღებს და უფრო კიდევ ადგილობრივ სხვა პარტიებთან ერთათ წარმოადგენენ სიებს.

## მუშათა მორის.

**ადელხანოვის ტყავის ქარხანა.** რუსეთ-იაპონიის ომის დროს ბევრ კაპიტალისტს ადგა შადა „ხაზინის“ ფულით ჯიბეების გასქელებისა. ერთი ამ ბედნიერთაგანი გახლდათ თფილისში ტყავის ქარხნის პატრონი ადელხანოვი. მან აიღო იჯარით ჯარისათვის ჩექმების დამზადება. იჯარის აღებამდე აღნიშნულ ქარხანაში დახლოვებით 60 მუშა მუშაობდა, ხოლო საქმის სისრულეში მოსაყვანათ საჭირო დარჩა ახალი მუშების მოწვევა. ამ მიზნით ქარხნის პატრონმა დაგზავნა სხვა და სხვა კუთხეებში თავისი აგენტები და ორასამდე ახალ მუშას მოუყარა თავი. აგენტები გაკვეთებას პირდებოდენ ახალ მუშებს „დღეში ორ-სამ მანათს აიღებ და სხვა რა გინდათო“ ეუბნებოდენ ისინი. ერთი მოხუცი იმერელი მუშა უარზე მდგარიყო „რადა დროს ჩემი თფილისში წამოსვლა არისო“, მაგრამ აგენტებს ეთქვა: ორი ქვავრჯენით რომ შემოდის ქარხანაში, ისეთი მუშაც სამ მანეთს იჯანს და შენ რა გიშავსო“. ასეთი თვალთ-მაქცობით, როგორც ვთქვით ქარხანაში მოიწვიეს ორასამდე ახალი მუშა. გათავდა რუსეთ-იაპონიის ომიც. ჩვენმა ქარხნის პატრონმა იჯარა შეასრულა პირნათლათ და, იმედია, არც მთავრობა დასტოვებდა გულ-ნაკლულათ. ქარხანაში სამუშაო იკლო. ორასი შემომატებული მუშა საჭირო აღარ დარჩა და ხაზეინიც, რასაკვირველია, ცდილობს ისინი ქუჩაში გამოყაროს. მაგრამ აქ იბადება საკითხი, რომელსაც ცდილობს გვერდი შეუაროს. მუშათა დადგენილებით ხაზეინმა უნდა მისცეს მუშას თუ ის 6 თვიდან სამ წლამდე უმუშავნია, დათხოვნის დროს სამი თვის ჯამაგირი. ეს დადგენილება, რასაკვირველია, არაფრათ ესიამოვნებოდა ქარხნის პატრონს და ცდილობს არც მწყადი დასწვას და არც შამფური. ამ მიზნის მისაღწევათ ის წინადადებას აძლევს ძველ მუშებს თითონ დაითხოვონ ის მუშები, რომლებიც საჭირო აღარ არიან. ამასთანავე ხაზეინი თავისი ინიციატივით არც ერთ მუშას არ ითხოვს და ყველასათვის კი საქმე არ მოიძებნება. ამ ხერხით ბ-ნ ადელხანოვს უნდა აიძულოს მუშები თითონ მიატოვონ ქარხნის კედლები და ქუჩაში გამოვიდნენ.

ბ-ნ ადელხანოვს, როგორც ჩანს, მეათე საუკუნეში ვცხოვრობთ გონია და ის არა ცოდნია, რომ მუშები არ მისცემენ მას უფლებას ასე თვალხილულად მოატყუონ ისინი. მათ მშვენივრათ იციან, რომ ადელხანოვი ცდილობს მუშების ქუჩაში გამოყრას, რომ შემდეგ მოსალოდნელ იჯარის დროს უსაქმოთ დარჩენილი მუშები მცირე ფასებში აიყვანოს და მეტი სარგებელი ნახოს. მუშებს ასეთი ხერხი კაპიტალისტებისა არა ერთხელ გამოუცდიათ და მეტს აღარ მოსტყუვდებიან.

ორი მუშა

---

ქვევით დავინახავთ, მხოლოდ ისტორიულ მატერიალიზმას თეორიამ ისარგებლა მეცნიერულათ. იქ, სადა, ანარქისტები ისტორიულ მოვლენების ასახსნელათ საბუნების მეტყველო კვლევის მეთოდით სარგებლობენ, მათ უთუოთ უნდა ისტორიულ მატერიალიზმის თეორიით ისარგებლონ, ისიც საშინლათ დამახინჯებულათ. ამის დასამტკიცებლათ შეგვიძლიან მრავალი დასამტკიცებული საბუთები მოვიყვანოთ ანარქისტების ნაწერებიდან. მაგ. პ. კროპოტკინი ერთ თავის ცნობილ თხუზულებაში: „თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმ“-ი სწერს: თუ ჩვენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების უმთავრეს პროცესს დავაკვირდებით და მეორე ხარისხოვან მოვლენებს მხარს ავუქცევთ—უსათუოდ დავინახავთ, რომ პოლიტიკური ბატონობა მუდამ გამომხატველია ეკონომიურ ბატონობის, როგორც პ. კროპოტკინის ციტატიდან სჩანს, იგი ეთანხმება იმ დებულებას, „რომ ეკონომიური ბატონობა იწვევს პოლიტიკურ ბატონობას, ის გრძნობს ისტორიულ მატერიალიზმის სამართლიანობას, მაგრამ ანარქისტების თანამედროვე თეორეტიკს იმდენი მოქალაქობრივი გაბედულება არ აქვს, რომ ეს გულახდილათ, საჯაროთ აღიაროს. უფრო ნათლათ და გარკვეულათ აქვს მას გამოთქმული თავისი ისტორიული შეხედულება თავის მეორე ნაწარმოებში „სახელმწიფოს ისტორიული როლი“. იგი ამბობს: „სახელმწიფო წეს-წყობილება იცვლება, რადგან იცვლებიან ადამიანთა იდეები“. კროპოტკინის თანამემამულე და თანამოაზრე მ. ბაკუნინი, ნახევარ საუკუნეს ადრე, ერთ თავის პაწია წიგნაკში „ღმერთი და სახელმწიფო“-ში სხვათა შორის სწერდა: მთელი კაცობრიობის ისტორიის მსვლელობა წარმოადგენს მხოლოდ განუწყვეტელ აბსტრაქციას, როგორც ღმერთი, სამშობლო, სახელმწიფო, ეროვნული მოძღვრება, ისტორიული კანონმდებლობითი უფლება, პოლიტიკური თავისუფლება და საზოგადოებრივი კეთილ-დღეობა.

როგორც ვხედავთ, ანარქიზმის საბუნებისმეტყველო მეთოდი, იმის მაგიერ, რომ თავის წარმოდგენა მომავალ საზოგადოებაზე განსაზღვრულ ფაქტორზე დაემყარებინა, იგი აბსტრაქციულ, განუსაზღვრელ მცნებაზე აქვს აშენებული. ეკონომიური მატერიალიზმის თეორია კი ამ გვარ ფაქტორს ეკონომიურ ურთიერთობაში ხედავს. ანარქისტები კი, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივ ფორმების ცვლას ადამიანის იდეებში ეძებენ, ისინი ამბობენ: იცვლება ადამიანის იდეა, იცვლება თვით საზოგადოებრივ ცხოვრების ფორმაც. ამიტომ ანარქისტები ფიქრობენ, რომ ახლო მომავალში დაამყარონ მომავალი საზოგადოება, ამისთვის მათი აზრით საჭიროა მხოლოდ ადამიანთა იდეების (აზრის) შეცვლა. იგივე პ. კროპოტკინი დასახელებულ წიგნის („თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი“) მეორე ალ აგას ამტკიცებს, რომ მუშათა კლასმა ახალი პოლიტიკური ცხოვრების ფორმა უნდა ეძიოსო; გერმანიის ცნობილი ანარქო-სოციალისტი დოკტორი ფრიდბერგი ეძებს ამის პროლეტარიატის ეთიკურ აღზრდაში. იგი ამბობს: ჩვენ პროლეტარიატს იმაზე უნდა მიუთითოთ, რომ მისთვის სულიერ ცხოვრების განვითარებას გაცილებით დიადი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მატერიალურ (ნივთიერ) საშუალებებსო. (Parlamentarismus und generalstreix, vin D-r R. Fuédberg). ანარქისტები თავიანთ ასეთი მისწრაფებით—ახალი ცხოვრების ფორმის ძიებით ძალიან უახლოვდებიან უტოპისტებს. უტოპისტ-სოციალისტების შეხედულება გამომდინარეობდა საზოგადო პრინციპებიდან და ამ პრინციპის მიხედვით ცდილობდენ „უკეთეს სახელმწიფოს“ დამყარებას. ანარქისტებისთვის კი ის არის „საუკეთესო საზოგადოებრივი წეს-წყობილება“, სადაც ადამიანი სრულ, შეუზღუდველ თავისუფლებით სარგებლობს. ზერელა დაკვირვებით ადამიანს ეგონება ანარქისტების შეხედულება თავისუფლებაზე შედეგია საზოგადოთ თავისუფლების პრინციპის განვითარებისო, ნამდვილათ კი თავისუფლების იდეის ბრიყვულათ არევ-დარევაა ანარქისტების ფილოსოფიაში.

მერე რაში მდგომარეობს ეს თავისუფლება? მ. ბაკუნინი ერთ თავის ნაწერში „Fragment über die Kommune von Paris“ ასე განმარტავს ამას: ერთად-ერთი ჭეშმარიტი თავისუფლება მდგომარეობს ადამიანის მატერიალურ (ნივთიერ), ინტელექტუალურ (გონებრივ) და ზნეობრივ ძალთა სრულ განვითარებაში; ადამიანის თავისუფლება არ უნდა იყოს შეზღუდული არავითარი კანონმდებლობით, არავითარი კოლექტიური სავალდებულო წესდებულებით, ერთი სიტყვით არ გვწამს არავითარი შევიწროება კანონისმიერ, გვწამს მხოლოდ ჩვენი საკუთარი ბუნების კანონი, რომელიც, საზოგადოთ, არ ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას; ეს კანონი არის ნამდვილი საფუძველი (ნიადაგი) ჩვენი მატერიალურ, ინტელექტუალურ და მორალურ არსებისა... ასე, ჩვენ ვლაპარაკობთ იმ თავისუფლებაზე, რომელიც დაამხობს ყოველ ზეციურ და ქვეყნიურ კერპებს და დაამყარებს ახალ საზოგადოებას, ახალ ურთიერთობას, ძველ ეკლესიის და სახელმწიფოს ნანგრევებზე. როგორც ხედავთ, ეს არის შეუზღუდველი ავტონომია, უსაზღვრო თავისუფლება, რომელსაც ანარქისტები გვპირდებიან თავიანთ მომავალ საზოგადოებაში. ანარქისტების მომავალმა იდეალმა არ იცის, საზოგადოთ ისეთი დაწესებულება (ეკლესია, სახელმწიფო, საზოგადოება და სხ.), რომელიც, რამენაირათ ავიწროებდეს პიროვნების თავისუფლებას. თითოეული სუბიექტი არის თავის თავის შეუზღუდველი სუვერენი.

ვთქვათ მართალია, რომ ანარქისტების მიერ დასახულ იდეალურ საზოგადოებაში მოსპობილი იქნება ყოველგვარი დამამორჩილებელი ფორმა, რომელიც ხელს უშლის ინდივიდუმის სრულ განვითარებას; ჩვენის აზრით, ამგვარი მდგომარეობა ამით ძალიან დაშორდებოდა კულტურულ მდგომარეობას. როცა ადამიანი თავის განვითარების პირველ საფეხურზე იდგა, მაშინ ის იყო თავის-თავის ბატონი, შეუზღუდველი ინდივიდუმი. მაგრამ ჩვენ არ გვგონია ანარქისტებმა უარი თქვან თანამედროვე კულტურის ნაყოფზე, რომლის მოპოება და შენახვა თანამოძმეთა დაუხმარებლათ შეუძლებელია. სანამ ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ კულტურის ნაყოფით, აუცილებლათ საჭირო იქნება განსაზღვრულ მიზნის მისაღწევათ სხვებთან შეკავშირება-შეერთება. პირველყოფილ ადამიანის მდგომარეობასთან შედარებით, კულტურულ ადამიანის ყოფამდგომარეობა, ჩვენი საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, საცხოვრებელი ბინა და სხვა ძალიან მრავალგვარი გახდა. ამათი დამზადება მოითხოვს რთულ შრომას მწარმოებელთა შორის, შრომის ფართეთ განაწილებას, ურომლისოთაც კულტურულ ადამიანს არ შეუძლია თავის გართულებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. პირველ ყოფილი ველური ადამიანი ტანს თავის მიერ მოკლულ ნადირის ტყავით იფარავდა; საჭმელათ ხმარობდა იმავე ნადირის ხორცს ან ხის ნაყოფს, რომელსაც იგი უხვათ პოულობდა პირველყოფილ ტყეში; მის საცხოვრებელ ბინას შეადგენდა გამოქვაბული კლდეები ან მსუბუქათ მოქოხებული ფარდული. კულტურულ ადამიანის ტანისამოს კი შეადგენს რთული ქსოვილებიდან დამზადებული მატერია, ამაზე დახარჯული ნედლი მასალა ხშირათ უცხო ქვეყნებიდან არის შემოტანილი; დღევანდელი ადამიანის საცხოვრებელი ბინა ასჯერ და ათასჯერ უფრო მკვიდრი და ძვირფასი შენობაა, რომელზედაც ბევრი და კარგი მასალაა დახარჯული და მორთულია ძვირფას მოწყობილობით: სითბოს იღებს ცენტრალურ სათბობიდან, წყალს ცენტრალურ წყლის მილიდან და სხვა. ამის მთავარ საზრდოს აღარ შეადგენს მის მიერ მოკლული ნადირის ხორცი, ეს აღარ იკვებება თავის მოკრეფილ ხილეულობით, არამედ სამეურნეო ნაწარმოებით, რომელიც რთულ და გაუმჯობესებულ ტეხნიკით არის დამზადებული და ხშირათ ეს უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ სამეურნეო ნაწარმოებია, და თავის მხრივ თხოულობს განვითარებულ ტრანსპორტს. ყველა ეს კულტურულ ადამიანის მოთხოვნილებები მოითხოვენ შრომის რთულ ორგანიზაციას, რომელიც იმორჩილებს ბუნების ძალებს ადამიანთა სასარგებლოთ.

ეჭვს გარეშეა პრიმიტიული (პირველყოფილი) ადამიანის თავისუფალი ნება ნაკლებათ იყო შევიწროებული, იგი გაცილებით მეტ ინდივიდუალურ თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე თანამედროვე კულტურული ადამიანი; კულტურის განვითარებამ თანდათან შეაკვეცა ფრთები ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებას, შეზღუდა მისი დამოუკიდებლობა. საზოგადოთ ყოველ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის დაარსებას მაშინ აქვს ნიადაგი, როცა ის საზოგადოთ კულტურის წინმსვლელობაზეა დამყარებული. ყოველგვარი მაგარი მაღალი კულტურა მოითხოვს ერთგვარ ორგანიზაციას, მრავალ ინდივიდუმების შეერთებას განსაზღვრულ მიზნის მისაღწევათ. ორგანიზაცია აუცილებელი თვისებაა კულტურის განვითარებისა, რომელიც, როგორც ზევით ვსთქვით, ზღუდავს ადამიანის სრულ, ავტონომიურ თავისუფლებას.

აი, ამ საკითხმა დაბადა ანარქისტებთა შორის შეხედულებათა სხვადასხვაობა, ამ პუნქტში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი თეორეტიკები. როგორ უნდა მოწესრიგდეს მომავალ საზოგადოებაში საერთო მუშაობა? ამ კითხვამ წარმოშობა ანარქისტებს შორის ორი უმთავრესი მიმდინარეობა: ინდივიდუალური და კომუნისტური ანარქიზმი.

ამაზე შემდეგ წერილში.

# რუსეთის ამბები

**ხმები ახალი სესხის შესახებ.** „რუსკოე სლოვოს" დეპეშით პეტერბურგიდან, რომ იქ მოსული ბანკირ მენდელსონის რწმუნებული ვიღაც ფელდმანი, რომელსაც აზრათ აქვს მოელაპარაკოს პარიზის ბანკებს რუსეთის შესახებ დიდ ფინანსიურ კომბინაციაზე. თუმცა ფელდმანი დიდის საიდუმლოებით მოვიდა, მაგრამ მაინც ამბობენ, რომ ის მენდელსონის მოსვლამდე მოელაპარაკება მართავს ბანკებთან. იმედი აქვთ ამ საქმეს მოაწყობენ, რადგან რუსეთის მთავრობას თითქმის დაურწმუნებია სესხის მიმცემლები, რომ რუსეთის რევოლიუციას ძირიანათ ამოგლეჯენ, თუ ორი წლის საჭირო ფულებს მისცემენ რუსეთს. გაზეთი „სლოვო" დაბეჯითებით ამბობს, რომ ეს სესხი უზრუნველყოფილია.

**აგრარიების სიეზდი.** პირველ ნოემბრიდან სამამდე კიევში მოხდა „სამხრეთ-დასავლეთის მიწისმფლობელთა დელეგატების სიეზდი". სიეზდი კარებს დაუხურავად მოხდა, ამიტომ იმ ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომლებიც შეატყობინა გაზეთებს სიეზდის ორგანიზაციულმა ბიურომ.

კიევის, ვოლინის, და პოდოლის გუბერნიების მაზრებიდან სიეზდს სულ 58 დელეგატი დაესწრო.

პირველ კრების სიეზდმა შეუდგა „სამხრეთ-დასავლეთის მხრის მიწისმფლობელთა და მიწის მუშათ კავშირის" წესდების განხილვას. წესდების პროექტი მიიღო სიეზდმა. უსტავის თანახმათ კავშირის მიზანია—„მიწის მფლობელთა და მიწის მუშათა ინტერესების დაცვა და სასოფლო-სამეურნეო კულტურის გაუმჯობესება, დახმარება გლეხების და წვრილ მიწათ მფლობელობის და აგრარულ საკითხის მშვიდობიანათ გადაწყვეტა, რომელსაც პრინციპათ დაედება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა".

პოლონეთის და რუსეთის აგრარიების ერთსულოვნება მათ მიერ მიღებულ რეზოლიუციაში გამოიხატა: „განიხილა რა სიეზდმა მიწათმფლობელთა მიერ აღძრული საკითხი გაუქმებულ იქმნეს განსაზღვრები პოლონეთის მცხოვრებთათვის, ერთხმათ დაადგინა იშუამდგომლოს ამის შესახებ მთავრობის წინაშე და დეპეშით შეატყობინოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს."

ამის შესახებ პეტერბურგში მიდის დეპუტაცია, რომელიც იშუამდგომლებს გაუქმებულ იქმნეს ეს განსაზღვრები დუმის მოწვევამდე. ამის გარდა დეპუტატებს დაევალა დაესწრონ „მიწისმფლობელთა სრულიად რუსეთის კავშირის" სიეზდზე, რომელიც მოხდება პეტერბურგში შუა ნოემბერს. დაბრუნებისას დელეგატები მოახსენებენ საოლქო კავშირის საზოგადო კრებას თავიანთ დასკვნას „სამხრეთ-დასავლეთ მხრის მიწისმფლობელთა კავშირის" „სრულიად რუსეთის მიწის მესაკუთრეთა კავშირთან" შეერთების შესახებ.

**პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარი ჯარში ახლათ გაწვეულ სალდათების შესახებ.** პოლიციის დეპარტამენტს ეგზავნა მის ხელქვეით დაწესებულებებისთვის შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დეპეშისა: „პოლიციის დეპარტამენტმა ცნობები მიიღო, რომ საიდუმლო ორგანიზაციებმა თავი დაანებეს სამხედრო ბეგრის მოხდის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევას და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რაც შეიძლება მეტი რევოლიუციონური ელემენტები გაიყვანონ ჯარში. საჭიროა ამ გარემოებას სასტიკი ყურადღება მიექცეს და ზომები იქმნას მიღებული მათ წინააღმდეგ საბრძოლველათ, ჟანდარმების დახმარებით აღმოაჩინეთ არაკეთილსაიმედო ახალგაზრდა სალდათები და დაუყოვნებლივ აცნობეთ ჯარის ნაწილის უფროსს, რომ სასტიკი თვალყური ადევნონ და საჭირო ზომები მიიღონ". ხელს აწერს დირექტორი ტრუსევიჩი.

**მთავრობის „მოღვაწეობის" ნიმუში.** პოლიციის დეპარტამენტს შეუდგენია სტატისტიკური ცნობები 1905 წლის 1 ნოემბრიდან 1906 წლის 1 ნოემბრამდე ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთა შესახებ. პოლიციის მხედველობის ქვეშ გაგზავნილია: ვოლოგდის გუბერნიაში—1753; ასტრახანის—32; კიევის—248; ოლონეცის—621, სემიპალატინსკის ოლქში—3; ტობოლის გუბერნიაში—1020; ტომსკის—1195; უფის—3; ჩერნიგოვის—1; იაკუტსკის ოლქში—187; კარსის ოლქში—2; თავთავიანთ სამშობლოში—161; თვით გადასახლებულების მიერ არჩეულ ადგილებში—538; პერმის გუბერნიაში—3; ორენბურგისაში—2; გროდნოისაში—1; საზღვარ გარეთ—1; ამას გარდა ადგილიდან იმ ადგილებში ცხოვრება, სადაც განსაკუთრებული წესებია შემოღებული—2116 კაცს; ამას გარდა ადმინისტრატიული დაპატიმრებით—125 კაცი, ამას გარდა განსუხილავთ [illegible] მთავრობის შუამდგომლობით—13,814 კაცის გადასახლების შესახებ, რომელთა რიცხვში—1703 ქალია.

# უცხოეთი

**გერმანია.** რეიხსტაგში ნაც-ლიბერალების დეპუტატმა ბასსერმანმა გაკიცხა მთავრობა, იმისთვის, რომ გერმანია ამ ბოლო დროს სრულებით განცალკევდა სხვა სახელმწიფოებიდან და არ ფიქრობს მათთან კავშირის დაჭერას: „სოციალდემოკრატიულ პრესაში არა ერთხელ წაგვიკითხავს", სთქვა ბასსერმანმა, „რომ გერმანია აპირებს რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას; ეს აზრი მე სინამდვილეს მოკლებულათ მიმაჩნია და მსურს, რომ ამის შესახებ კანცლერმა გამოსთქვას თავისი აზრი". ამაზედ კანცლერმა ბიულოვმა უპასუხა ბასსერმანს, რომ ინგლისსა და გერმანიას შორის კარგი განწყობილება სუფევს, როგორც ეკონომიურათ, ისე სულიერათაც. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, ჩვენთან კავშირის გაწყვეტა მათთვის უფრო საზარალო იქნება, ვიდრე ჩვენთვისა, ხოლო რუსეთის საქმეში ჩვენი ჩარევა მეტისმეტი სიცრუეა, მთავრობისთვის ჩირქის მოსაცხებათ მოგონილი. „ამნაირათ", ამტკიცებდა კანცლერი, „გერმანიის საგარეო საქმეები მშვენიერ მდგომარეობაშია და ამ მხრით გერმანიის ხალხს არაფერი საზრუნავი არ აქვსო".

სოციალდემოკრატების სახელით კანცლერს ფოლმარმა გასცა პასუხი: „კანცლერი ცდილობს" სთქვა ფოლმარმა, „გერმანიის საგარეო საქმეების მდგომარეობა იმაზე უფრო კარგათ მოგვაჩვენოს, ვინემ ნამდვილათ არის. იმპერიის აღორძინების დროს სამხედრო გამარჯვებამ სახელი გაგვითქვა სახელმწიფოთა შორის ასე რომ თუ მათგან სიყვარულს ვერ ვიმსახურებდით, შიში მაინც ქონდათ ჩვენი. ეხლა კი სულ სხვაა. როგორც ალჟესირასის კონფერენციამ დაგვანახა, ყველა სახელმწიფოები გერმანიის წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებული, ასე გასინჯეთ, ჩვენი მოკავშირე იტალიაც კი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანია ერთხელ ჩადენილ სისულელეს ხელ-ახალ სისულელეს აღარ მოუმატებს, არ შეკრავს კავშირს, „სამთა იმპერატორთა კავშირის" მსგავსს. დროა გავიგოთ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის შექმნა კერძო ოფიციალური პირების საქმე არ არის. ხალხის გრძნობა და მისწრაფება ეხლა გავლენის მქონე პოლიტიკურ ფაქტორათ არის გადაქცეული. მკვიდრათ არ ჩაითვლება იმ სახელმწიფოს მდგომარეობა, რომელსაც გარეშე ხალხთა სიყვარული და სიმპატია არ დაუმსახურებია. საჭიროა, რომ კერძო პირების ჟინი არ ედოს საფუძვლათ საზოგადო პოლიტიკას. გერმანიის პოლიტიკა დროა შეიქნეს გერმანიის ხალხის ნების გამომხატველათ, იმ ხალხის, რომელსაც სხვა ერებთა შეთანხმებაში და მშვიდობიან განწყობილებაში ცხოვრება სურს. როცა ასეთ ჩვენ მოთხოვნებს განვახორციელებთ, მაშინ უფლება გვექნება იმედი ვიქონიოთ სხვა ერთა სიყვარულზე, რომლებიც ჩვენთან შეკავშირებას ძვირფასათ ჩასთვლიან. არა სამხედრო ძალების გაძლიერებაში გვსაჭიროებთ ჩვენ, არამედ შინაური საქმეების ასეთნაირათ მოწყობაში, რომ ცხოვრება წესიერებასა და თავისუფლებაზე იყოს დამყარებული".

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

13 ნოემბერი

**ბელგრადი.** შესდგა საპროტესტო მიტინგი ავსტრო-უნგრეთის მთავრობის მოწოდების წინააღმდეგ სერბიულ ჟურნალისტების მიმართ ბოსნიასა და გერცოგოვინაში. მიღებულია რეზოლიუცია, რომლითაც აცხადებენ პროტესტს ჟურნალისტებთან მიმართვის წინააღმდეგ. გადასწყვიტეს მიმართონ უცხო მხარეთა ჟურნალისტებთა კავშირს, ამასთანავე მიეცათ წინადადება შეუერთდენ პროტესტს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ. ავსტრიის ოლქების შემოერთებულ ქუჩებში გაისმოდა ავსტრიის საწინააღმდეგო ხმები. ავსტრიის საელჩოს წინ მოხდა დემონსტრაცია, რომელიც გაჰფანტა ჯარმა.

**მინსკი.** რამდენიმე შეიარაღებული პირი, რომელნიც თავის თავს ანარქისტებს უწოდებდენ, დაეცენ ებრაელის ვისოცკის სახლს. პოლიციამ ალყა შემოარტყა და შეიპყრო ოთხი მათგანი. დატუსაღებულნი გამოტყდენ.

**პარიზი.** გაზეთი „ტანი" ოფიციოზურ სტატიაში აცხადებს, რომ საფრანგეთი და ისპანია თავის მოვალეობათ სთვლიან დაიცვან ევროპიელების სიცოცხლე და ქონება ტანჟერში და გადასწყვიტეს ერთად იმოქმედონ, ამასთანავე მოქმედების გეგმა გადასცეს თავიანთ მთავრობებს დასამტკიცებლათ, რომელთაგანაც რამდენიმე კიდეც დასთანხმდა. გაიგზავნება ფლოტი 800 კაცით. უკეთუ საჭიროება მოითხოვს გადმოსხმენ დესანტს 300 კაცისას, ტანჟერელ ფაშის დასახმარებლათ რაისულის წინააღმდეგ.

**კიევი.** მეორე გიმნაზიაში აფეთქებულ პეტარდის შესახებ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ უფროს კლასებში მოსწავლეთა შორის რევოლიუციონური ორგანიზაცია ყოფილა. იპოვნეს ჰექტოგრაფი, ბეჭედი და სხვა.

**მარიუპოლი.** იწყება სწავლა გიმნაზიის ხუთივე კლასებში. დათხოვნილი მოსწავლეები უკანვე მიიღეს.

**მანტი.** პაეროსტატი „პატრიო", რომელსაც პატრი განაგებს, აუშვეს პაერში. პაეროსტატი ღრუბლებზე მაღლა ავიდა, დროებით ეშვებოდა ძირს ფოტოგრაფიულ სურათების გადასაღებათ და მასალების გადმოსაყრელათ.

**მოგილიოვი.** 9 ნოემბერს ნიკოლაევის ტაძრიდან გაიტაცეს ძველი ფული და ძვირფასი ნივთები 50,000 მანეთისა. პოლიციამ დააპატიმრა დამნაშავენი ეკლესიის სტოროჟი და სოფლის სტაროსტა. უკანასკნელს უპოვნეს გატაცებული ნივთები.

**ტულონი.** სამოსწავლო გემის მექანიკურ მინების ალყესირაში, რომელზედაც 500 კაცი იმყოფებოდა, იფეთქა ცეცხლმა. გემს ვერ გადაარჩინეს. დაწვის დროს კამანდაში არ აღმოჩნდა სამი კაცი; ბევრი დაშავდა. როგორც ხმა გავრცელდა, ცეცხლი გაჩნდა თოფის წამლის აფეთქებისაგან. ყველა გემები, რომლებიც რეიდში დგანან, შველიან ცეცხლის ჩაქრობას.

**იუზოვკა.** გურლოვკაში ვაგონების გამოუგზავნელობის გამო, მაღაროებში მოიყარა თავი 180 მილიონ ფუთმა ქვა-ნახშირმა. გადაწყვეტილია დაითხოვონ მუშების ერთი ნაწილი.

**ვარშავა.** სოციალდემოკრატების ცენტრალურ კომიტეტის ოთახში დაიჭირეს 11,900 შესაკრები მარკა, 4300 შტემპელიანი ბლანკები, პარტიის ანგარიშები და მრავალი რევოლიუციონური გამოცემები. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ გუსინის ქუჩაზე შესდგა შეერთებული კრება გაფიცვის კომიტეტებისა. პოლიციის გამოჩენისათანავე შეკრებილნი გაიქცენ მეზობელ სახლებში, საიდანაც გამორეკეს ზოგი მდგმურებმა და ზოგიც პოლიციამ. დაპატიმრებულია 45 კაცი.

**რადომი.** პოლშის სოციალისტურ პარტიის კონსპირატიულ ოთახში შეიპყრეს ხუთი კაცი. იპოვნეს რევოლიუციონურ ლიტერატურის საწყობი, ხელ-მოწერილი ფურცლები და საბუთები.

**სიმბირსკი.** შაბათს საღამოს, ლოცვის გათავების შემდეგ საგუბერნიო ციხის საყდრიდან, როდესაც ხალხი ეკლესიიდან გამოდიოდა, გაიქცა სამი კაცი, უმთავრესათ პოლიტიკური ტუსაღი, რომელნიც გზა-გზა ისროდენ რევოლვერებს. სროლის დროს ციხის უფროსის თანაშემწეს დაუხვრიტეს ქუდი. გაქცეულები ვერ დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** მიწის მომწყობ კომისიების მოქმედება მიმდინარეობს ნორმალურათ. მრავალი გლეხი მიდის კომისიებთან ცნობებისთვის და თხოვენ მიწის გამოყოფას. მიწის შესყიდვის და გაყიდვის მსურველთაგან მრავალი განცხადებები შემოდის. კომისიების უმრავლესობამ განიხილა ნაკაზი და პრინციპიალურათ დაადგინეს გლეხებზე იჯარებით გაიცეს მიწა. ჩერკასის კომისიამ კიევის გუბერნიიდან განმარტა, რომ გლეხების გამოუცხადებლობა და მოსამსახურეობის წესები აფერხებენ მიწის მოწყობის საქმესო; თუმცა მიწის საჭიროება, მაგრამ მცხოვრებლებს შაქრის ქარხნებისაგან კაი შემოსავალი აქვთ. პსკოვის გუბერნიაში კომისიის მოქმედებამ გამოიწვია გლეხების ხუტორებათ დასახლება. ხუტორულ მეურნეობისაკენ მისწრაფება აღიარა აგრეთვე ფეოდოსიის, კურმიშის, სარატოვის, კოვნოს და კიევის გუბერნიის კომისიებმაც. ბევრი მემამულე, კოვნოს კომისიის წინადადებით, დასთანხმდა უფასოთ დაუთმოს გლეხებს მიწების რამოდენიმე ნაწილი, ხუტორულ მეურნეობის მოსაწყობათ. ეკატერინოსლავის კომისიამ აღიარა მცხოვრებლების გადასახლების ძლიერი საჭიროება. ყველა კომისიები იღებენ ენერგიულ ზომებს გაავრცელონ თავისი იდეები მიწის მოწყობის შესახებ.

**ქერჩი.** უმთავრეს სინაგოგაში აღმოაჩინეს პატარა ბოჭკა შრიფტით, რევოლვერებით, პატრონებით და რევოლიუციონური მოქმედების ანგარიშით. დაატუსაღეს ერთი რუსი მუშა. სინაგოგას ჩხრეკენ.

**სევასტოპოლი.** აჯანყების საქმის გარჩევა დასრულდა, გამოაცხადეს განაჩენი. გადაუწყვიტეს: კონტროლიორს—ჩამოხრჩობა, ჯარის-კაცთ სიომას და ბარიშევს—დახვრეტა, პოდპოლკოვნიკის შვილს კორონილინს სამუდამო კატორგა, რეპორტიორს ფრენკელს უფლებათა ჩამორთმევა და გადასახლება, ბევრს მიუსაჯეს კატორგაში სხვა და სხვა ვადით გაგზავნა, არესტანტის როტებში, დისციპლინალურ ბატალიონებში და ციხეში დაპატიმრება. 270 ბრალდებულიდან გაამართლეს მხოლოდ 38 კაცი. სიკვდილით დასჯილთა შესახებ დადგენილებები წარედგინება სკრიდლოვს დასამტკიცებლათ.

**პეტერბურგი.** „მეშჩანინ" ტიმოფეესტოლფოტის ბინაზე აღმოაჩინეს 6 გატენილი ყუმბარა; სამხედრო-საველე სასამართლომ დამნაშავეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. 13 ნოემბერს გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

**ფეოდოსია.** იტალიის ქუჩაზე ესროლეს ყუმბარა გენერალ დავიდოვს, ბოროტგამზრახველი გოროდოვოიმ შეიპყრო. დავიდოვი უვნებლათ გადარჩა. ყუმბარის მსროლელს ყუმბარა წვანილებიან კალათით მიქონდა. ყუმბარა ეკიპაჟს თვლებს მოხვდა, მარა არ გასკდა. დაჭერილი სახით მუშაა. მისი ვინაობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

**ვარშავა.** ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ გუშინ საღ. 6 საათს და 30 წუთზე უგურსკის ვაგზალზე შეცვივდნენ მძარცველები მოკლეს ჟანდარმი, გაცარცვეს კასა, გადაჭრეს ტელეგრაფის სიმები და ტყეში მიიმალნენ. მათ წინააღმდეგ გაგზავნილია დრაგუნის ესკადრონი.

**ბახმუტი.** სადგ. გროშინოს დეპოში პარაოზის გასინჯვის დროს აღმოაჩინეს ბომბები, ერთი ბომბა გასკდა, და სამი მუშა დააშავა.

**ეკატერინოსლავი.** სამხედრო-საველე სასამართლოების დადგენილებით დახვრიტეს 4 მუშა.

**ვარშავა.** კეთილ-ქუჩაზე მძარცველთა ბრბომ თავს დაესხა მარტელს, რომელსაც არყის დუქნების ნავაჭრი ფული მიქონდა, მარტელს ორი სალდათი ახლდა. ერთი სალდათი ხელში დაიჭრა და თოფი გაუგდეს. მეორემ მოკლა ერთი თავდამსხმელი. დანარჩენები გაიფანტენ, გაიტაცეს მხოლოდ 140 მანეთი, რომელიც მარტელს გაუგდეს. 400 მანეთი კი მარტელს ჯიბეში შერჩა, ერთი გაქცეულთაგანი პოლიციამ ერთ სახლში აღმოაჩინა, ის დაჭრილი აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება ვორონეჟის და პოლტავის გუბერნიებში გაძლიერებულ წესების გაგრძელების შესახებ.

**მოსკოვი.** 12 ნოემბერს 10 საათზე განხრიკეს სასტუმრო „მესიკის" ნომრებში სათათბიროს ყოფილი წევრი ხარკოვის გუბერნიიდან ივანიცკი. ივანიცკი დაატუსაღეს. „მშვიდობიან განახლების" პარტიის მოსკოვის კომიტეტს ცნობები მოდის, რომ ბევრ ქალაქებში პარტიას უერთდებიან ბევრი ებრაელები, რომელთაც კადეტებათ გახდომა უნდოდათ, კადეტები არ მოსწონდათ ებრაელ ბურჟუებს. 14 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება პარტიის 10 კომიტეტი. შედგა სტუდენტების დამფუძნებელი კავშირი, კავშირში 600 წევრი ჩაეწერა.

**ფეოდოსია.** გენერალ დავიდოვისთვის ყუმბარის მსროლელმა განაცხადა, რომ ის ავსტრიის ქვეშევრდომია და უნდოდა სისრულეში მოეყვანა ს.-რევ. მფრინავ რაზმის დადგენილება; თავი ამაყათ უჭირავს. დაიჭირეს მეფაეტონე, რომელმაც უარი თქვა დამნაშავის დატევებაზე. ორთავეს სამხედრო-საველე სამართალში აძლევენ. ეჭვით შეიპყრეს კიდევ ორი კაცი.

**პეტერბურგი.** განათლების მინისტრის მიერ მინისტრთა საბჭოში შეტანილი პროექტი ეხება დაბალ, საშუალო და უმაღლეს შკოლების რეფორმას... პირველათ უდგება პროექტი ეხება სავალდებულო სწავლის შემოღებას, რაც ხელმისაწვდენი იქნება, მხოლოდ მთავრობის და საზოგადოების ურთიერთ დახმარებით. ქალაქებს და სოფლის საზოგადოებებს უფლება ეძლევათ დაარსონ როგორც ერთ კლასიანი, ისე მაღალი ტიპის სასწავლებლები, მარა წვრილ საერობო ერთეულის რეფორმამდის ეს შკოლები უნდა ექვემდებარებოდენ სამაზრო სასწავლებელთა საბჭოს. სასწავლებლების დამაარსებელნი თვითონ განაგებენ შკოლის ორგანიზაციის საქმეს, ყველა საზოგადო განათლებისათვის დანიშნულ შკოლებში სწავლების ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება მინისტრის განკარგულებაში რჩება. მთავრობა თავის მხრივ უნიშნავს მასწავლებლებს მინიმალურ ჯამაგირს და პენსიას მისცემს სიბერის დროს. კანონდებულებები და წესები, რომელნიც ხელს უშლიან ამ სისტემის სისრულეში მოყვანას, უნდა გაუქმებულ იქნას. მასწავლებელთა საერთო რიცხვის შესაქმნელათ უნდა მოემატოს მუდმივ პედაგოგიურ კურსების რიცხვს. ქალთა გიმნაზიაში, პროგიმნაზიაში, სამოქალაქო სასწავლებელში, გაიხსნას სოფლის მასწავლებელთა სემინარიები, უმთავრესათ ქალებისათვის გადასინჯულ იქნება დებულება საქალაქო შკოლების და სამოსწავლო ინსტიტუტების შესახებ, იმ მიზნით, რომ უკეთესი განაზავცა მიეცეს მათ. უარჰყოფს რა საშუალო სასწავლებლის სამოსწავლო პლანების რეგლამენტაციას, სამინისტროს პროექტი აღნიშნავს მინიმალურ მოთხოვნილებებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს საშუალო შკოლამ, ცდილობს შკოლა დაიცვას მოსწავლეთა ხნოვანების შესაფერათ, და განსაზღვრავს მოსწავლეთა ნორმას ყველა სასწავლებელში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას და ამ მიზნით გადაკეთებული იქნეს არსებული პანსიონები. პროექტი ცდილობს მასწავლებლების უკეთესათ მომზადებას, უზრუნველყოფს მათ მატერიალურის მხრით, და რათა კერძო და საზოგადოებრივ ინიციატივას ფართო ასპარეზი გაეხსნას, აღიარებს ხუთი კატეგორიის საშუალო შკოლის ტიპს, მთავრობის და საზოგადო დაწესებულებების მიერ სუბსიდიების მიცემას. სამოსწავლო ნაწილის ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის შესანარჩუნებლათ სამინისტრო თვალყურს ადევნებს, რომ მოსწავლეთათვის უფლებების მიცემა შეეძლოთ მხოლოდ იმ შკოლებს, რომელნიც აკმაყოფილებენ სახელმწიფოს ძირითად მოთხოვნილებებს კანონით დაწესებულ პროგრამის მიხედვით. რადგან ქალებს დიდი სურვილი ემჩნევათ სწავლის მიღებისა, დიდი ყურადღება მიექცევა ქალთა საშუალო შკოლების შესახებ დებულების განხილვას, გაერთიანებულ იქნება იმ უწყებათა მოქმედება, რომელთაც ეს შკოლები ექვემდებარებიან. არა რუსთათვის შეიძლება დაშვებულ იქნეს სასწავლებელში სამშობლო ენაზე სწავლება იმ პირობით კი, რომ რუსული ენა ყველასათვის სავალდებულოთ იქნეს აღიარებული და დაბალ შკოლებში სწავლება რუსეთის ისტორიის და გეოგრაფიის რუსულ ენაზე უნდა წარმოებდეს, საშუალო შკოლებში აგრეთვე რუსეთის ლიტერატურისა. მარა ასეთ შკოლების მოსწავლეთ უფლება აქვთ სახელმწიფო შკოლებში ეგზამენის დაჭერის. ამ შკოლებში კი მასწავლებელთ არავითარი უფლებები არ ეძლევათ. სამინისტრო საჭიროთ სცნობს ფართოთ გაუწიოს დახმარება საზოგადოებრივ და კერძო ინიციატივას სამრეწველო და ტეხნიკური განათლების გავრცელების საქმეში. ბოლოს უმაღლეს საზოგადო და ტეხნიკურ შკოლებისათვის პროფესორების მიერ არჩეულ წარმომადგენლების მონაწილეობით მზადდება პროექტი ახალ წესდებისა და შტატების უნივერსიტეტებსა და ტეხნიკურ სასწავლებლებში. განზრახულია გაუქმება სტუდენტთა საზოგადო პანსიონის, გახსნა მთელი რიგი რეალურ სასწავლებლების, ტეხნიკური და სახელოსნო შკოლების. დუმის პირველ სესიაში შეიძლება განხილულ იქნენ პროექტები საყოველთაო განათლების შესახებ, უნივერსიტეტებში ახალ შტატების დაარსების პროექტი, საკითხი კიდევ 14 ინსპექტორის დანიშვნის შესახებ სხვა ერთა შკოლებისათვის, შეცვლა სახელმძღვანელოების მოწონების შესახებ, რომელნიც ადგილობრივ ენებზე იქნებიან გამოცემული. დანარჩენ კანონპროექტებს ახლა იმუშავებს სამინისტრო ამავე საფუძველზე.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა ის საფუძველი, რომელზედაც უნდა იქნეს დამყარებული 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული სინიდისის თავისუფლების პროექტი, რომელიც სახ. სათათბიროს წარედგინება. საბჭოს მოახსენეს ამ საგანზე დასავლეთ ევროპაში არსებული კანონები; საბჭომ საჭიროთ სცნო ამ კანონმდებელთა შემოღება იმ ცვლილებით, რომელიც გამოწვეულია რუსეთის სახელმწიფოში ქრისტიანობის და მართლმადიდებელ სარწმუნოების გაბატონებულ მდგომარეობით. შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილება სასულიერო საქმეების შესახებ შეიმუშავებს ამის მიხედვით შესაფერ კანონპროექტს სახ. სათათბიროს კრებების დაწყებამდე და წარუდგენს მინისტრთა საბჭოს წინდაწინ განსახილველათ.

რედაქ.-გამომცემელი ი. ოტიაშვილი.


# განცხადებანი

დ. ახალ-სენაკში

გაიხსნა წიგნების მაღაზია

„სინათლე".

იყიდება საეკლესიო და სამასწავლებლო წიგნები. ვკისრულობთ ყოველგვარი წიგნების გამოწერას. (3—3).


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" თფილისი, მიხეილის ქუჩ, № 65.